საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 1-2 სექტემბერი. 2020 წ. №108 (9034) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ზვიადის ერთი იგავისა არ იყოს, ანუ დრენდოუტი და გუდურები 5

ჩვენ ეს შეგვიძლია!

პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დანიშნა

დღეს ხელი მოვაწერე არჩევნების გამოცხადების აქტს. საპარლამენტო არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება 31 ოქტომბერს, როგორც ამას ჩვენი კონსტიტუცია ითვალისწინებს. მინდა მივმართო საზოგადოებას და მოგიწოდოთ, რომ ეს პერიოდი, ეს ორი თვე, რაც წინ გვიძღვის არჩევნებამდე, ჩავატაროთ რაც შეიძლება მშვიდობიანად, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

„დღევანდელ პირობებში, როცა უკვე გავიარეთ კოვიდ-ის პანდემია და საკმაოდ მძიმე წელი, აუცილებელია, რომ ძალიან მშვიდად მოვემზადოთ არჩევნებისთვის. ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს! ჩვენ ამით კიდევ ერთხელ დავადასტურებთ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობას. ისევე როგორც რამდენიმე თვის წინ, დღესაც ჩვენმა საზოგადოებამ აჩვენა მსოფლიოს, რომ შეუძლია მართოს ასეთი მძიმე ეპიდემია და თავისი მაღალი საზოგადოებრივი შეგნებით დაანახოს, რომ ჩვენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები ვართ; სწორედ ასევე უნდა ჩავატაროთ არჩევნები. ვიცი და მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია მომავალი არჩევნები ასე დემოკრატიულად, მშვიდობიანად და გამჭვირვალედ ჩავატაროთ. 30 წლის წინ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველომ ჩაატარა უკვე მაშინაც დემოკრატიული არჩევნები. ჩვენ ეს ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ, გავაძლიეროთ და წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე როგორც უკიდურესად დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენ ეს შეგვიძლია!“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

აკელას შათირი უკვე ჩამოვიდა 2

წელს 100 პროცენტიანი დაფინანსება 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო

წელს 29 614 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა, 100%-იანი დაფინანსება კი 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო. ამის შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფო გორგოძემ განაცხადა.

„დღეს აბიტურიენტებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია ჩარიცხვებისა და გრანტის განაწილების შესახებ. 2020 წელს უმაღლეს დაწესებულებებში სწავლას გააგრძელებს 29 614 აბიტურიენტი. ვულოცავ თითოეულ მათგანს და წარმატებებს ვუსურვებ ცხოვრების ახალ ეტაპზე. მათ კი, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს წელს ამ არცთუ ისე მარტივ პერიოდში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, ვთხოვ, არ დაკარგონ მოტივაცია — უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მომავალშიც ექნებათ“, — განაცხადა სოფო გორგოძემ.

მისივე თქმით, 100%-იანი დაფინანსება მიიღო 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა, 70%-იანი დაფინანსება — 1500-მდე აბიტურიენტმა, 50%-იანი გრანტი კი 4000-ზე მეტმა აბიტურიენტმა დაიმსახურა.

ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდეს... 4

გია ცაგარეიშვილი: „ქართული ოცნება“ არჩევნებს მოიგებს, ბაქრაძე და ბოკერია კი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან“

თუ ოპოზიციის მეტს ვერავის ხედავ, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებმა შეიძლება მსოფლიო ომიც გამოიწვიოს... 3

სასწავლო პროცესი ბაგა-ბაღებში:

რა წესები უნდა დავიცვათ პანდემიის პირობებში? 11

როგორ იცნა ქართველმა გენერალმა წითელი პეტროგრადი იუდენიჩისგან... 6

კელი დეგნანი:
კარგად გაგვაგებინეთ, რა გინდათ!

აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებს მოუწოდებს, საზოგადოებას თავიანთი პლატფორმების უკეთ გაგებაში დაეხმარონ.

„საარჩევნო კამპანია, როგორც ხედავთ დაწყებულია და უკვე საკმაოდ დაძაბული რიტოროკაა შესამჩნევი. მოვუწოდებ ყველა პარტიას, ყველა პოლიტიკურ ლიდერს საზოგადოებას უკეთ გააგებინონ, როგორია მათი პლატფორმები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკის გაჯანსაღების გეგმა კოვიდპანდემიის შემდეგ, ეს არის ის საკითხები, რომლის საფუძველზეც ამომრჩეველი უნდა წავიდეს არჩევნებზე და გააკეთოს კარგი არჩევანი საქართველოს მომავლისთვის,“ — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა.

მან პოლიტიკურ პარტიებს ასევე მოუწოდა, საარჩევნო რეფორმის ეფექტური და სრული განხორციელება უზრუნველყონ, რამაც ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას უნდა შეუწყოს ხელი.

კარლ ჰარცელი:
ძლიერი მონიტორინგი ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია

რაც შეეხება საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლას, ისევე როგორც მე, ყველა პოლიტიკურ პარტიას საქართველოში სურს, რომ არჩევნების ძლიერი მონიტორინგი ხდებოდეს, რადგან ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა.

„მე ასევე ვმუშაობ იმისთვის, რომ საერთაშორისო მხარე რაც შეიძლება მეტად იყოს წარმოდგენილი. იმედი მაქვს, ვნახავ ეუთოს ძლიერ წარმომადგენლობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვიცით, რომ გამოწვევას წარმოადგენს „კოვიდ-19“, ეს დამატებით და სპეციფიკურ ტვირთად დააწვება ყველას, მათ შორის ვინც არჩევნებს დააკვირდება, თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის“, — განაცხადა კარლ ჰარცელმა.

ნათია თურნავა:
საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღების გზაზე დგას

გუშინ დილით გამოქვეყნდა ივლისის ეკონომიკური მაჩვნებლები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ განწყობას, რომ საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღების გზაზე დგას, — ამის შესახებ ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ივლისში, მართალია, ჯერ კიდევ გვაქვს ვარდნა, რადგან წლევანდელი წელი ვერ იქნება პოზიტიური, მაგრამ მაჩვენებელი არის - 5.5%, რაც სამჯერ უფრო ნელი ვარდნის მაჩვენებელია, ვიდრე — აპრილის მაჩვენებელი. თუ მიადევნებთ თვალ-ყურს, თვიდან თვემდე, როგორ სუსტდებოდა ეკონომიკის შემცირების ტემპი, პოზიტიურ დინამიკას თვალნათლივ დაინახავთ. მაგალითად, აპრილში გვქონდა -16.6%, მაისში -13.5%, ივნისში, მაშინ, როცა პრაქტიკულად, მოვხსენით შეზღუდვები, იყო — 7.7% და ივლისში — 5.5%. ანუ, პრაქტიკულად, სამჯერ გაუმჯობესდა და გაჯანსაღდა ჩვენი ეკონომიკა“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

ამერიკელი სამხედროები - საქართველოში

მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2020“ აქტიური მზადების პროცესშია. წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად აშშ-ის მე-2 საკავალერიო პოლკის სამხედროები სამხედრო პოლიციის მე-18 ბრიგადის პირად შემადგენლობასთან ერთად საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, წელს წვრთნებში ქართველ ჯარისკაცებთან ერთად ნატოს წევრი 4 ქვეყნის: აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და პოლონეთის სამხედროები მიიღებენ მონაწილეობას. ისინი სწავლების ოფიციალურ გახსნამდე საქართველოში ეტაპობრივად ჩამოვლენ. სწავლება ოფიციალურად 7 სექტემბერს დაიწყება და მასში 2700-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

„ღირსეული პარტნიორი“ საქართველოში უკვე მეხუთედ ტარდება და მისი მიზანია საქართველოს, აშშ-ისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და თავსებადობის გაუმჯობესება. სწავლება ასევე, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, სწავლების მთავარი გზავნილია — „ძალა პარტნიორობაშია“. მრავალეროვნული წვრთნა კომპლექსურია და მისი სცენარი ითვალისწინებს სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლებებს საბრძოლო სროლებით, ასევე, სამანევრო და საბრძოლო მხარდამჭერი ელემენტების ურთიერთქმედებას სტაბილურობის, თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში.

აკელას შათირი უკვე ჩამოვიდა

მოდის, მოდის, მიშა მოდის! არ დავიჯერებდით, თვითონ რომ არ ეთქვა, ტელევიზიით: კი, დასტურ მოვდივარო.

თანაც როგორი მოდის: კაი ნაპატიები, ჩაკურატებული, ღიპდასმული, ჩადგმულ-ჩაკვერცხილი, მთლად ნოდარ სიმსივეს გმირის ტყუპისცალი, „ჰეროკრატიიდან“, მთლად საქართველოზე გადამკვდარი და იმაზე მეოცნებე, როდის ჩაიბარებს პრემიერ-მინისტრის კვერთხს და საქართველოს გაუძღვება წინ, ნათელი მომავლისკენ, რისკენაც ამ ათწლეულის დადგომიდან მიუძღვებოდა ერს, მაგრამ არ დააცალა რუსმა ოლიგარქმა, ქართველი ერის ღლეტით და სისხლის წოვით გამდიდრებულმა, ნაძირალა მილიარდერმა, რომელმაც გაბრიყვა ქართველი ხალხი და მიუქსია მიშას — დიდ მოღვაწესა და პატრიოტს და არ აცალა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე.

მაგრამ ბრძენი ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს შეეძლო, წაეყვანა გამარჯვებისკენ და ახლა სულის კაწკაწით ელოდება 31 ოქტომბერს, რათა გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას თავზე დააწვიმოს თავისი საარჩევნო ხმები.

მართალია, მიშას თანამებრძოლების ერთი ნაწილი სრულიადაც არ ელის მის დაბრუნებას გაშლილი ხელებითა და მკერდიდან ამოვარდნამდე აძგერებული გულით (თუნდაც ევრონაცები ავიღოთ), მაგრამ რაკიღა „ქართული ოცნების“ მეტადრე ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, „უკლებლივ ყველა ქართველის სისხლხორცეული საქმეა“, ისინი ხელს არ შეუშლიან დიდ მიშას უკრაინიდან ტრიუმფით დაბრუნებას, მაგრამ უკვე აქ მყოფს ხელს არ გაუმართავენ პრემიერ-მინისტრობისკენ სრბოლაში. ეს გიგა ბოკერიას ბოლო სატელევიზიო ჩართვამაც დაადასტურა, როცა ავი ღიმილით ილაპარაკა თავისი პარტიის — ევრონაცების გეგმებზე, თუნდაც პრემიერობასთან მიმართებაში,ბოლოს კი მიხეილ სააკაშვილის ხსენებაზე თვალები მოხარშული ღორჯოსავით გაუთეთრდა!

მაგრამ იმის მიუხედავად, ევრონაცებს (და სხვებს) თვალები უთეთრდებათ თუ უმწვანდებათ, ყოფილი ბელადი სიყვარულით გვიჩვენებს სამი თითის კომბინაციას და სექტემბრისთვის ჩვენს ჩახუტებას ეპირება.

წინდაწინ, სამახარობლოდ, თავის შათირიც კი გამოგზავნა — ლევან ვარშალომიძე. ჩამოვიდა და პირი გააღო თუ არა, მაშინვე „კოზირები“ ამოალაგა სტომაქიდან, მეო, იმხელა თანამდებობა მეკავა უკრაინაში, „ადვილად ვერ იტყვის ენაო“, მაგრამ ყველაფერი დავტოვე, რათა ჩემს აჭარას მივხედო და არჩევნებზე სულ გლივჯინ-გლივჯინით გავიყვანო წინო. მალე „ისიც“ ჩამოვა და გავკეთდებით შავი დედალივითო.

კი დასჭექა ეს საამო წინასწარმეტყველება, მაგრამ მთლად ისე ვერ თქვა, როგორც ფიქრობდა, რაღაც უღიმღამო გამოუვიდა, ღიმილიც თითქოს მოღრეცილი ჰქონდა.

ისე, არ დასტყობია გასული რვა წელი და ემიგრაცია, რაღაც ზრდადაუსრულებელს ჰგავს, რიტორიკაში კი ალი-კვალი ვანიჩკა მერაბიშვილია, ოღონდ არა ახლანდელი, მეფე ლირივით გარიყულიმიგდებული, არამედ იმდროინდელი, ყინჩად ორ გვამს რომ თხოულობდა.

ამრიგად, აკელა და მისი რუხი ძმები ბრუნდებიან, რათა აქაურ მელიებს მგლური ყმუილით გაუღონიერონ ხმა. ხოლო თუ რა იქნება შემდეგ, გამარჯვების შემთხვევაში, ეს აკი გვამცნო გიორგი გუგავას პარტიულმა ბოსმა შალვა ნათელაშვილმა, „კაცმა, რომელიც იცინის“, თუმცა სასაცილოს არაფერს ამბობს, პირიქით — პროსკრიპციები დაიწყებაო!

სანდრო ალექსიძე

ზვიად ძიძიგური:
მგელი მოდის! მგელი მოდის!

„მე ვბრუნდები“, — ძალიან ზოგადი ფრაზა თქვა მიხეილ სააკაშვილმა, აქ პოლიტიკური ეშმაკობაა ჩადებული, — ამის შესახებ „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა. მისივე თქმით, თუ ვინმე ფიქრობს, რომ სააკაშვილი არჩევნების წინ ჩამოვა საქართველოში, მიხეილ სააკაშვილს შემდეგ ექნება თავის გასასამართლებელი, რომ ეს არ უგულისხმია. ზვიად ძიძიგურის შეფასებით, რეალურად, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არ განიხილავს.

მე ვბრუნდები — ამ ფრაზაში და საერთოდ, სააკაშვილის დაბრუნების თემა მაგალითად 2016 წელს იყო ძალიან აქტუალური, რადგან რამდენიმე თვის განმავლობაში მიდიოდა საჯარო სივრცეში მუდმივად დებატები, მუდმივად საუბარი, რომ სააკაშვილი ფიზიკურად ჩამოვიდოდა საქართველოში. მისი მეუღლე, მაგალითად, სანდრა რულოვსი ამბობდა, რომ ის ან ზღვით ან ჰაერით, ანუ იქედან და იქედანაც თუ არ შემოვიდა, ასეთ შემთხვევაში გვირაბის საშუალებით შემოვა საქართველოში.

კარგად მახსოვს მისი გაკეთებული ასეთი განცხადებები. აჭარაში საზღვართან იყო მობილიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების და სრული იმიტაცია შეიქმნა იმისი, რომ მიხეილ სააკაშვილი შემოვიდოდა საქართველოში, მაგრამ თქვენ არაფერი გეტკინოთ, ვიდრე ეს ამბავი რეალობაში არ ახდა და ახლაც, 2020 წლის არჩევნების წინ, ვფიქრობ, რომ ეს არის მხოლოდ პოლიტიკური ეშმაკობა, ის ფიზიკურად საქართველოში დაბრუნებას არ განიხილავს და ეს ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, რომ აწიოს ტემპერატურა. ამ ტემპერატურის აწევის შედეგად, მან მოახერხოს მაქსიმალური მობილიზება ყველა ოპოზიციური ხმის, დავუშვათ რაც კი არის საქართველოში, პრაქტიკულად, ის სხვა ოპოზიციური პარტიების ჩაძირვის მიმართულებით დგამს ნაბიჯს, როდესაც ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებს და არა „ქართული ოცნების“ მიმართულებით, რადგან „ქართულ ოცნებას“ ასეთი ტიპის განცხადებებით პრობლემას ვერ შეუქმნის. პირიქით, „ქართულ ოცნებას“ ის მიეხმარება, რომ მან მაქსიმალურად გააკეთოს თავისი ამომრჩევლის მობილიზაცია, რადგან ეს საფრთხე, მგელი მოდის, მგელი მოდის ისევ აქტუალური ჩნდება, თუკი სააკაშვილი იმეორებს ხშირ-ხშირად, რომ ბრუნდება“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

გზად – მომავლისკენ



„ოცნებას“ ძალიან უნდა ნორმალური არჩევნების ჩატარება

„ნაციონალური მოძრაობის“ მიზანია, არჩევნების მეორე დღეს დაიწყოს პოლიტიკური პროცესი. ამას ადასტურებს მიხეილ სააკაშვილის „ბოდიში“ და დაპირება, რომ საქართველოში ბრუნდება. გარდა ამისა, პარტია ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად უკრაინის მოქალაქეს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ უმძიმეს სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებული სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, სააკაშვილი ქარიზმატული ფიგურაა და სწორედ ამიტომ სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობას“ მის სახელზე პედალირება.

თუ ოპოზიციის მეტს ვერავის ხედავ, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებმა შეიძლება მსოფლიო ომიც გამოიწვიოს...

– სააკაშვილის გუნდის ყოფილი წევრები – „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი“ ღიად უპირისპირდებიან „ნაციონალურ მოძრაობას“. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციაში მიმდინარე დაპირისპირება იძლევა სამოქალაქო ომის ნიშნებს, როგორც ამას ნაციონალებთან დაახლოებული ანალიტიკოსი ნოდარ ხარშილაძე აცხადებს?

– ნოდარ ხარშილაძე ანალიტიკური ტიპის მსჯელობის მოყვარულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი მსჯელობა ფოკუსირებულია ოპოზიციაზე. თუ ოპოზიციის მეტს ვერავის ხედავ, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებმა სამოქალაქო ომი, ან შეიძლება მსოფლიო ომიც გამოიწვიოს. ფოკუსირებამ ეს იცის, გეჩვენება, რომ ჭიქაში ქარიშხალია, მაგრამ გაიხედ-გამოიხედავ და ნახავ, რომ მაინც ჭიქაა და კატასტროფა არ არის. ოპოზიციის შიდა დაპირისპირებები დღევანდელ პოლიტიკურ სურათში კატასტროფას არ ქმნიან, მით უმეტეს სამოქალაქო ომისას. ომს ძალები სჭირდება, რა ძალები აქვს ოპოზიციურ პარტიებს?

> ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ საზოგადოებაში ის მხარდაჭერა, რომ ასეთი ვერსია გამართლდეს. ამოვიდეთ თუნდაც იმ პროგნოზებიდან, რომელიც ოპოზიციის დაკვეთით შესრულებულმა სოციალურმა კვლევამ გვიჩვენა „ნაციონალურ მოძრაობას“ 15-16% აქვს, დანარჩენებს კიდევ უფრო ნაკლები. ამ პროპორციებით რა სამოქალაქო ომი შეიძლება მოხდეს? – ეს ერთი და მეორე – სამოქალაქო ომი იარაღით დაპირისპირებას გულისხმობს. დღეს პოლიტიკურ პარტიებს ხელში არ უკავიათ იარაღი. სამოქალაქო დაპირისპირება შეიძლება მოხდეს, მაგრამ სამოქალაქო ომი, ნამდვილად ვერ იქნება.

– სამოქალაქო ომის რესურსი ოპოზიციას არა აქვს, მაგრამ გეგმაში აქვთ პროცესების ამ გზით განვითარება? ძალიან ხშირად პარალელებს ავლებენ ბელარუსში მიმდინარე პროცესებთან და ამბობენ, რომ თუ ხელისუფლება შეეცდება არჩევნების გაყალბებას, გარდაუვალია პროცესების ბელარუსის სცენარით განვითარება. შეიქმნა ა-ო „დავიცვათ ყველას ხმა“, ასევე სააკაშვილთან დაახლოებულმა ქრისტინა პუშმ შექმნა ახალგაზრდების გაერთიანება, მიზანი ამ შემთხვევაშიც არჩევნებია. რა სცენარისთვის ემზადება ოპოზიცია?

– ეს კეთდება იმისთვის, რომ არჩევნების მეორე დღეს დაიწყოს პოლიტიკური პროცესი, ბელარუსის და სხვა ხავერდოვანი მოვლენების ანალოგიურად. მოგეხსენებათ, ხავერდოვანი რევოლუციის დიდი ნაწილი აგებული იყო არჩევნების გაყალბების გაპროტესტებაზე. ეს წერია ხავერდოვანი რევოლუციების სცენარში. 60-70-იან წლებში ამერიკაში შეიქმნა ეს სცენარი და მერე ტრიალებს, ჩვენთანაც იგივე მოხდა, არჩევნების მიმართ პროტესტმა გააჩინა ვარდების რევოლუცია. ამიტომ, ოპოზიცია ემზადება მეორე დღისთვის.

თუ ხელისუფლებამ შეცდომები დაუშავა იმ მხრივ, რომ არჩევნების შედეგების გაყალბება სცადა, რაც ძალიან მეეჭვება, მაგრამ დავუშვათ, რომ ხალხი გამოვიდა ქუჩაში – ვინ მოჰყავს ამ ხალხს ხელისუფლებაში? ნებისმიერი რევოლუციის შემთხვევაში, არჩევნების გამო, თუ არჩევნების გარეშე, ისმის კითხვა – რისთვის გამოვდივართ ქუჩაში, ვისთვის ვიბრძვით, ვინ უნდა მოვიყვანოთ ხელისუფლებაში? რეალურად ხომ ნაციონალების ხელისუფლებაში მოყვანაზეა ლაპარაკი. ვარდების და ნებისმიერი სხვა ხავერდოვანი რევოლუციის რესურსი ის არის, რომ ახალი ძალა მოდის ხელისუფლებაში, რომლის ავ-კარგი ხალხმა არ იცის და მერე ირკვევა.



ასე იყო სააკაშვილი, არ იცოდნენ ვინ იყო, მაგრამ მხარს უჭერდნენ. დღეს უკვე სააკაშვილი და მისი პარტია გაშიფრული მოვლენაა. ამიტომ ვარდების რევოლუციის ეს პრინციპი ამ კონკრეტულ პირობებში ირღვევა. ხალხი, რომელიც სარალიძის ემოციურ პროტესტს აღარ აყვა, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ნაციონალები იყვნენ, ეს ხალხი ნაციონალების მიერ მოწოდებულ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყვება?! – გამორიცხულია. ასე რომ, რაღაცა დესტრუქციული ღელვა, ალბათ, იქნება, ალბათ, იმის მცდელობაც იქნება, რომ ეს ღელვა უცხოელების წინაშე გააფორმონ როგორც მათ სჩვევიათ საიმისოდ, რომ უცხოეთიდან წამოვიდეს ზეწოლა, მაგრამ, თუ იტყვიან, რომ არჩევნები დარღვევების გარეშე ჩატარდა, მაშინ ამ ტიპის აქცებს საფუძველი გამოეცლება.

ასე რომ, ამ გეგმასთან ბრძოლა ძალიან ადვილია. ვიმეორებ, ერთი პირობა ის არის, რომ რეალურად ეს ბრძოლა მიდის უკვე უარყოფილი პარტიის აღდგენისკენ, ან „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოყვანისკენ, რაც მიუღებელია და მეორე – უცხოელების გამოყენებისთვისთვის. უცხოელების მხრიდან კრიტიკის შემცირებისთვის საკმარისია, შეცდომები არ იქნას დაშვებული.

ის, რომ პროტესტების აგორების გეგმა არსებობს, ამაში გეთანხმები. რევოლუციის გეგმაზე ლაპარაკობდა სააკაშვილი და მისი პარტია, ახლა შეჩერდნენ, მაგრამ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებები მიუთითებს, რომ ნაციონალებში რევოლუციის იდეა განელებული არ არის.

– რევოლუციის იდეა განელებული არ არის, მაგრამ რამდენად შეძლებენ პროცესების ამ მიმართულებით წაყვანას? მით უმეტეს, რომ ოპოზიციაში ერთიანობა არ არის...

– არა, ასე არ არის. საკმარისია, დაგროვდეს ბევრი უკმაყოფილება, ისინი დაივიწყებენ დღევანდელ უთანხმოებას და ისევ შეუერთდებიან „ნაციონალურ მოძრაობას“.

– მაგრამ რესურსი რამდენად აქვთ? არც 2003 წელს ჰქონდათ რესურსი, მაგრამ პროცესები წარმართეს რევოლუციური სცენარით, თუმცა მაშინ მათ ჰქონდათ დასავლეთის მხარდაჭერა, დღეს ასე გამოკვეთილი მხარდაჭერა არა აქვთ...

> – დასავლეთი და პარალელი ახსენეთ 2003 წლის მოვლენასთან. მაშინ ბუშს ჰქონდა იდეა ხავერდოვანი რევოლუციით გასულიყო ავღანეთში. ამიტომ სჭირდებოდა რევოლუცია საქართველოში. დღეს დასავლეთში ასეთი იდეა არ არის, ხავერდოვანი რევოლუციები დღეს არავის არ სჭირდება. რაც შეეხება იმას, რომ მაშინ დასავლეთის მხარდაჭერა ჰქონდათ, ეს არ იყო გადამწყვეტი, რადგან მარტო დასავლეთის მხარდაჭერა არ ჰქონდათ, რუსეთის მხარდაჭერაც ჰქონდათ. რუსეთს სჭირდებოდა შევარდნაძის მოშორება და თავისი კაცის დასმა.

– შეიძლება რუსეთი ანალოგიურ თამაშში დღესაც შევიდეს?

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ვიმეორებ – დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე მარტო ერთი მხრიდან, მეეჭვება, ასეთი რევოლუციები მოხერხდეს. ყოველი შემთხვევისთვის იმდენად ძლიერი და მკაფიო არის საქართველოში მოსახლეობის პოზიციები, რომ დასავლეთის მხარდაჭერის შემთხვევაშიც ძნელი შესასრულებელი იქნება. პოლიტიკოსებს უყვართ სცენარების წერა, მაგრამ რეალურად ყველა სცენარი არ სრულდება.

> 2003 წელი რომ მოგახსენოთ, უკვე 2000 წლიდან მიდიოდა მთელი მოსახლეობის დამუშავება „რუსთავი 2“-ის საშუალებით და ამან მოამწიფა რევოლუციური განწყობა. ამან მოამწიფა ის განწყობილება საზოგადოებაში, რომ შევარდნაძის მხარდაჭერა უკვე სირცხვილად ითვლებოდა. ანალოგიურად, დღეს სირცხვილად ითვლება სააკაშვილის მხარდაჭერა. არც „ოცნების“ მხარდაჭერას უდგას კარგად საქმე, მაგრამ სააკაშვილის მხარდაჭერა სირცხვილია. მყარი მომხრეებიც არ ლაპარაკობენ, რომ სააკაშვილს უჭერენ მხარს.

– ხელისუფლება შეძლებს პროცესების მართვას?

– სწორი კითხვაა, მით უმეტეს ახლა. იმიტომ, რომ ამ წელს დასავლეთიდან გაჩენილმა წერილების ნაკადმა, მკაფიოდ დაგვანახა, რომ საკმარისია, ხელისუფლებას ფეხი გადაუბრუნდეს ამ არჩევნებზე, რომ დასავლეთიდან შეტევა იქნება ძალიან ძლიერი. კერძოდ – იმ წრეებიდან, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ გულშემატკივრობენ. მერე არავინ დაიწყებს იმის გარკვევას, ვინ ნაციონალია და ვინ არა, მაგრამ დასავლეთიდან ასეთი ზეწოლა სირთულეებს შექმნის. ამის გადაკეტვა შეიძლება ძალიან ფრთხილი, გაანგარიშებული მოქმედებით, რომელიც წინასწარ მომზადებულ ნიადაგზე იქნება გაშლილი. ვგულისხმობ საელჩოების და სხვა კონტაქტების მეშვეობით იმ განწყობების მომზადებას, რომ კარგი დაინახონ და ცუდს არ გამოეკიდონ და საერთოდ არ ჩაერიონ საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში.

იმიტომ, რომ ეს ან ვერ მოახერხა ჩვენმა ხელისუფლებამ, ან დიდი ეჭვი მაქვს, რომ გაგება ვერ მოახერხა უცხოეთმა იმისა, რომ უტაქტო ჩარევებით, გნებავთ ელჩების და გნებავთ ამ ტიპის წერილებით, რაც ახლა ვახსენეთ, ყველაზე დიდი ზიანი ადგება დასავლეთს იმ მხრივ, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალში დასავლეთი ნელ-ნელა უახლოვდება იმას, რასაც 70 წლის განმავლობაში უყურებდა ეს მოსახლეობა – როგორ ცდილობდა მოსკოვი, პროცესები ემართა საქართველოში. ხშირად გაიგებთ საქართველოში ფრაზას – რა განსხვავებაა, ვაშინგტონის და ბრიუსელის კარნახით ვიცხოვრებთ, თუ მოსკოვის? ამიტომ, დასავლეთზე დიდი აქცენტი არ არის გასაკეთებელი. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ჩვენ თვითონ გვჭირდება ნორმალური არჩევნების ჩატარება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ციფრული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად – 35.7 მლნ ევრო!

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა ელექტრონულად მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლიც ითვალისწინებს 35.7 მლნ ევროს შეღავათიანი ფინანსური რესურსის გამოყოფას პროექტისთვის Log-in Georgia, რომლის მიზანია, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება:

- ფინანსურად ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდა;
- მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა;
- პროექტის დანერგვის მხარდაჭერა.

პროექტის განხორციელების შედეგად, ათასამდე დასახლებულ პუნქტში, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ნახევარ მილიონ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს მაღალი ხარისხის ინტერნეტით და ისეთი სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, განათლება, მმართველობა და ა.შ.

პროექტს კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით ხუთი წლის განმავლობაში კომპანია Open Net-ი განახორციელებს.

დღის შეფასება

ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდეს...

გია ცაგარეიშვილი: „ქართული ოცნება“ არჩევნებს მოიგებს, ბაქრაძე და ბოკერია კი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან

ქვეყანაში საარჩევნო ციებ-ცხელებაა დაწყებული. ვის რა შანსები აქვს, რომელ პოლიტიკურ ძალებს ვიხილავთ მომავალ პარლამენტში, იქნება თუ არა „ქართული ოცნება“ კვლავ ხალხის რჩეული?

ამ და სხვა საკითხებზე „საქართველოს რესპუბლიკას“ ანალიტიკოსი გია ცაგარეიშვილი ესაუბრა.

— საპარლამენტო არჩევნები კარსაა მომდგარი. გამოქვეყნდა პოლიტიკური პარტიების რეიტინგები, სადაც „ქართული ოცნება“ ლიდერობს. მოდით, არჩევნების წინ ქვეყანაში არსებული ვითარება, წინასაარჩევნო გარემო და გამოკვეთილი პოლიტიკური ძალების შანსები შევაფასოთ...

— პირველ რიგში, თქვენი გაზეთის მკითხველს უნდა მივესალმო. „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე ხანდაზმული გაზეთია, იყავით ყოვეთვის აქტუალურები და ღმერთმა არ მოგაკლოთ მკითხველი. 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში ცოტა თუ ეტანება გაზეთს, რაც ძალიან ცუდია. გაზეთს მაინც სულ სხვა „სურნელი ასდის“. ასე რომ, თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ და წარმატებას გისურვებთ.

ახლა რაც შეეხება წინასაარჩევნო ვითარებას. გარკვეულწილად ბევრი რამ უკვე ნათელია. დიახ, „ქართული ოცნება“ ლიდერობს, რაზეც უკანასკნელი კვლევებიც მიუთითებს.

და ეს არ არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ პარტიული კვლევები. „ქართული ოცნება“ დღეს, 1 სექტემბერს დიდი უპირატესობით იგებს არჩევნებს და მე, როგორც დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი ვფიქრობ, ეს ციფრები რადიკალურად არ შეიცვლება. ზოგადად ეს არის დაუწერელი კანონი, როცა არჩევნებამდე ორი თვით ადრე შენ უახლოეს მდევარს თითქმის 30 %-ით უსწრებ, ნათელია, რომ შენ არჩევნებში დიდ წარმატებას მიაღწევ, რადგან 30 %-ის ამოქაჩვა წარმოუდგენელია.

— თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ თვლის, რომ ეს შემოდგომა „ქართული ოცნების“ მოუსავლეთში გაშვების და ხელისუფლებაში დაბრუნების დრო...

— წიწილებსაც შემოდგომაზე ითვლიან, თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში არათუ 2020 წლის შემოდგომაზე დაბრუნდება, არამედ ვერც 2024 წლის შემოდგომას და ვერც 2028 წლის შემოდგომაზე დაბრუნდება. მათ ის ათი შემოდგომა, რაც ხელისუფლების სათავეში იყვნენ ძალიან მწარედ დაამახსოვრეს ქვეყანას, ამიტომ საკმარისია. ჩვენ კარგად გვახსოვს შედეგები მათი მმართველობისა და დარწუნებული ვარ, რომ საქართველოს მოქალაქეები ამ დანაშაულებრივ კრიმინალურ ძალას თავის მომავალს აღარ ანდობენ.

რაც შეეხება სხვა, ე.წ. ახლად შექმნილ პარტიებს — ნაყოფი ხომ ხით შეიცნობა, ვერც ვაშაძის და სხვა ვაუბატონების თუ ქალბატონების პარტიები რადიკალურად განსხვავებულ შედეგს დღევანდელი ციფრებიდან გამომდინარე ვერ დადებენ. ისინი შორს არ წასულან „ნაციონალური მოძრაობისგან“ და არც ის მოუნანიებიათ, რაც სააკაშვილთან, მერაბიშვილათან, ადეიშვილთან და სხვა კრიმინალებთან ერთად აკეთეს. ვგულისხმობ ვაშაძეებს, ბოკერიებს, უგულავებს და ძმათა მათთა. მათ ვითომ ცოტა დახვეწილი სახე შეიძინეს, მონანიების ფერმკრთალი ნიშნები შეინიშნება მათ შეტყობინებებში, მაგრამ ეს ყველაფერი წმინდა წყლის ფარისევლობაა.

— სხვათა შორის, ორიოდე დღის წინ დავით ბაქრაძემ განაცხადა, მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ სისხლიან ათ წელზეო, თუმცა, რაში გამოიხატება ან შეინიშნება პასუხიმგებლობის აღება ცოტა გაუგებარია...

— დიახ, რომ ჰკითხოთ ყველაფერზე პასუხისმგებლობას იღებს, მაგრამ სიღრმეებში რომ ჩახვალ, არც არაფერზე პასუხიმგებლობა არ არის აღებული და არც არაფერია მონანიებული.

საერთოდ „ევროპული საქართველო“ ერთგვარი გეგმაა „ნაციონალური მოძრაობისა“. მათგან გამოკრისტალებულიყო შემადგენლობა ე.წ. თეთრი ხელთათმანებით, რომლებიც თითქოსდა ჩამოიბანდნენ იმ სისხლს, რომელიც საკაშვილმა მათ მიასხურა. თუმცა, მთლად ქადაგად ვერ დაცვივდებოდნენ, ყველაფერზე პასუხიმგებლობას ვერ აიღებდნენ, არც მოინანიებდნენ რამეს, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. ძირითად ბირთვს, სადაც მოიაზრება ადეიშვილი, კოდუა, ახალაია და სხვა მწამებლები, „გამოეყოფოდნენ“. ანუ კი აწამებდნენ ისინი, მაგრამ ჩვენ დღეს სუფთახელებიანი ვართ, ჩვენ არაფერი ვიცით, არაფერი შეგვხებიაო.

2012 წელს, როცა არჩევნებში გავიმარჯვეთ და მე-9 მოწვევის პარლამენტი შეიკრიბა, დაიწყო საუბარი, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია უნდა შექმნილიყო, რომელსაც უნდა გამოეძია „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულები და თუ გამოიკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, ეს ყველაფერი უნდა წასულიყო გენერალურ პროკურატურაში. მე ვიყავი ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელიც ღიად ამბობდა, რომ ეს უპირობოდ იყო გასაკეთებელი.

თუმცა პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, რომელიც ძალიან მძლავრად იყო მხარდაჭერილი, მათ შორის დასავლეთიდან, ეს ვერ გაკეთდა. მოდით, გავხსნათ ბრჭყალები და პირდაპირ ვთქვათ, დიახ, იყო გარკვეული ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე. ეს „ქართული ოცნების“ ზოგმა ლიდერმაც თქვა ღიად. იყო სერიოზული ზეწოლა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან და ქვეყანა გზაგასაყარზე იყო. ჩვენ ან უნდა წაგვეყრუა და დაგვიდგებოდა მძიმე პრობლემები, ან ჩვენი ხალხისთვის კარგად უნდა აგვეხსნა რასთან გვქონდა საქმე. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ადამიანებს კარგად ვერ ავუხსენით საიდან მოდიოდა ეს ზეწოლა და რატომ იყო ერთგვარი შენელება სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით. როცა ასიათასობით ხალხი ქუჩაში გამოდიოდა, ისინი მაღალი პენსიის მოთხოვნისთვის არ გამოდიოდნენ. ეს ადამიანები თავისი ღირსების დასაცავად გამოდიოდნენ. აი, ეს იყო მთავარი.

— მარიამ ჯაშის თანაპარტიელების თქმით, „ოცნებამ“ დაპირება რომ არ შეასრულა ანუ არ აღადგინა სამართლიანობა, სწორედ ამიტომ დატოვეს პარტიის რიგები. დღეს ეს ხალხი ჰპირდება ამომრჩეველს ამ დაპირების შესრულებას...

— მერე ისინი აღადგენენ სამართლიანობას? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ეს კიდევ ცალკე უბედურებაა. ვფიქრობ, მეორე ტური იქნება საქართველოში და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ესეც დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ვერ ხედავთ, რა მოხდა ე.წ. ოპოზიციურ სპექტრში, ეს რაღაც ეფემერული ერთობა როგორ დაიშალა. ნათელაშვილის ფანჩატურიც კი დაარქვეს, ზოგიერთმა ტალავერი, ეზო თუ ავტოფარეხი. ავტოფარეხს უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, სადაც ჯართში ჩაბარებულ ავტომობილებს ყრიან ხოლმე. აი, ე.წ. პროფილაქტიკას რომ ეძახიან, სადაც ჟანგიანი ავტომობილებია. ხომ გინახავთ გამოშიგნული ავტომობილები, ზოგს საბურავი რომ აქვს მოცლილი, ზოგს ძრავი... ეს ჯართი კი ელოდება ჩამბარებელს, აი, ისეა ჩვენი ოპოზიცია დღეს. დიდი სახელოსნოა, სადაც გამოშიგნული ავტომობილები ყრია, ზოგი ნიკოლოზის დროინდელი, ზოგი კი ბრეჟნევის და ელოდება ჯართის ჩამბარებელს. ჯართის ჩამბარებელი კი, გადატანითი მნიშვნელობით, არის ჩვენი ამომრჩეველი, რომელიც მივა არჩევნებზე და ჩაიბარებს ამ ყველაფერს. გამარჯვების შანსი მათ ვერც ერთ ოლქში ვერ ექნებათ. იმიტომ კი არა, რომ „ქართული ოცნება“ მათზე ერთი ათად ძლიერია, არა, იმიტომ რომ ერთმანეთს უპირისპირდებიან. ჩვენი ამომჩეველი გონიერია და ამ ყველაფერს ხედავს.

— და გამორიცხავთ, რომ არ აღიარონ არჩევნების შედეგები და პროცესები ქუჩაში გადაიტანონ ?

— „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური გეგმა არჩევნების დელეგიტიმიზაცია იყო, მაგრამ 30-120-ის გამოცხადებამ საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი ამ მზაკვრულ გეგმას. იციან არჩევნებს წააგებენ და ფიქრობენ, პროცესები ქუჩაში გადმოიტანონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. „ქართული ოცნება“ უმრავლესობის მთავრობა იქნება, ლეგიტიმური და დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული. ამ ქვეყანაში გადატრიალებების დრო დასრულდა. გავიხსენებ შევარდნაძის ფრაზას — **„ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდესო“.**

გავმეორდები, „ქართულ ოცნება“ დააკომპლექტებს უმრავლესობის მთავრობას და ის კრიმინალები და ყაჩაღები ბობოხიძიდან დაწყებული ბაქრაძით დამთავრებული მომავალ პარლამენტში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

— დაბოლოს, გიხილავთ თუ არა „ქართული ოცნების“ სიაში, ბატონო გია?

— არ მაქვს ინფორმაცია, თუმცა, ერთი რამ შემიძლია გითხრათ — სანამ პირში სული მიდგას, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ავაზაკი სააკაშვილი ხელისუფებაში არ მობრუნდეს.

ქეთი ხოფერია

შენი აზრი არ მაინტერესებს, იუდა! რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბაჩალიაშვილის დედა და ბებია

თამარ ბაჩალიაშვილის ბებია რიტა ზურაბაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს გარდაცვლილის დედის, თეონა თამაზაშვილის გაღიზიანება მოჰყვა.

ბაჩალიაშვილის ბებიამ თამაზაშვილის მიმართ ასეთი პოსტი გამოაქვეყნა: **„ჩემო თეონა, უმორჩილესად თხოვნით მოგმართავ, შეჩერდი. იგლოვე და ილოცე შენი შვილის სულისთვის. მთელი საქართველო ლოცულობს შენი შვილისთვის, ამ ყველაფერს შენი შვილის უმანკო სული ითხოვს“,** — დაწერა რიტა ზურაბაშვილმა, რაზეც ბაჩალიაშვილის დედამ უპასუხა: **„შენი აზრი არ მაინტერესებს, იუდა“.**

ამირან სალუქვაძე: „იარაღით ვაჭრობის და ყარაბაღის თემის მიწებება ბაჩალიაშვილის ტრაგედიასთან არ ვიცი, რა მახინჯი ფანტაზიის პროდუქტია“

ANALITIKOSI **ამირან სალუქვაძე** გუშინწინ, პროკურატურასთან გამართულ აქციას და გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრების მხრიდან გაჟღერებულ ბრალდებებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

„რაც პროკურატურასთან მოხდა, არ ვიცი რა რეაქცია უნდა მქონდეს. ერთი მხრივ უბედურებაა, რომელმაც მთელი ქვეყანა შესძრა, მეორე მხრივ დიდი პროვოკაციის მცდელობა...

მორიგი სერიაა, საქართველო რეგიონულ კონფლიქტში მხარედ ჩაითრიონ. იმ ჟანგიანი „კამაზების“ თემა ვერ ააგორეს. ახლა ყარაბაღის იარაღით მომარაგების თემას აგორებენ...

მავნებლობასაც ხომ ზღვარი აქვს?!

ეს საწყალი ბავშვი ჯერ პორნოსაიტებს დააკავშირეს. ახლა იარაღით ვაჭრობის თემას აწებებენ.

მესმის, რომ ვინც ახმოვანებს, არ ესმის თემის სერიოზულობა, არც ის თუ გარდაცვლილისთვის რამდენად საზიანოა და რეპუტაციულია, არც ის, თუ რამდენად საზიანოა ქვეყნისთვის, მაგრამ თქვენ, ვინც უკან უდგახართ, თქვენ ხომ გესმით?

ნუთუ პოლიტიკის, ძალაუფლების გამო ყველაფერზე წასვლა შეიძლება?!

ამ განცხადებების შემდეგ საერთოდ ქვეყნის ინტერესებზე ხმა როგორ უნდა დაძრათ? ნიღბები დიდი ხანია ახდილი გაქვთ, სახეებიც აიხიეთ თუ აიფხრიწეთ. ვინაა დღეს ბრმა, ყრუ ან უტვინო?! ყველა ხვდება, ვისი მესიჯბოქსია, ვისი ჯიბის ადვოკატია, ვისი ხელწერაა და ვისი მავნებლობაა?!

ეს უკვე აღარაა ხუმრობა და პროკურატურამ რეაგირება უნდა მოახდინოს. ეს არც ის შემთხვევა აღარაა, როცა ე.წ. წყაროს დაფარვაა იურიდიულად შესაძლებელი. თქვენგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ იარაღით ვაჭრობის და ყარაბაღის თემის მიწებება ამ ტრაგედიასთან, არ ვიცი რა მახინჯი ფანტაზიის პროდუქტია“, — წერს ამირან სალუქვაძე.

ზვიადის ერთი იგავისა არ იყოს,

ანუ დრენდოუტი და გუდურები

ყველა კარგად ვხედავთ, აგრესიული ლიბერალების მხრიდან თუ როგორი შეტევა მიმდინარეობს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ.

ის რომ ნაცწყარო არანაირი დასავლური ღირებულებების და საერთოდ არანაირი ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი არ არის, არახალია. მათი ე.წ. პოლიტიკური მსოფლმხედველობა მხოლოდ ნგრევა, მოსპობა და სრული დიქტატურაა, რაც მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის მსოფლმხედველობას შეიძლება შევადაროთ.

მოკლედ ვიტყვი, რომ ამ „ხალხმა“ „პატრიოტთა ალიანსთან“ ბრძოლის ყველა მეთოდი ამოწურა, რადგანაც ხალხი კარგად ხედავდა იმ რეალობას, რომელიც ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა იმ „რეიტინგებისგან“, რასაც რაღაც უსახური „კვლევითი ორგანიზაციები“ აქვეყნებდნენ.

საზოგადოება კარგად ხედავდა ხალხის იმ მხარდაჭერას, რაც პატრიოტების მიერ გამართულ აქციებზე იყო და ასევე ხედავდა რევანშისტების აქციებზე მისულ იმ ოციოდე ადამიანს, რომელთაგან 10 პოლიციელი და ხუთი ჟურნალისტი იყო.

ხალხმა კარგად დაინახა, რომ საქართველოში დღეს „პატრიოტთა ალიანსის“ სახით მხოლოდ ერთი ოპოზიციური ძალაა. კონსტრუქციულად ოპოზიციური და ვერანაირი ბრტყელ-ბრტყელი ლაყაფი ამ რეალობას ვერ ცვლის.

გადავხედე იმ ბრალდებებს, რომლებიც ამ არსებების მხრიდან წამოვიდა.

არ დავიწყებ მათ განხილვას, რადგანაც ამ მდაბიო ხალხის ფანტაზიები უკვე ცუდად დადგმული კლოუნადაც აღარ არის.

პირველი „ბრალდება“ ეყრდნობოდა რაღაც საიტის „დოსიეს“ „ინფორმაციას“, რომლის მიხედვითაც თითქოს „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის ხელისუფლებამ საარჩევნოდ 8 მილიონი დოლარით დააფინანსა და ამ „ფაქტთან“ დაკავშირებით მოსკოვში განათლებამიღებულმა „ევროპელმა“ ელენე ხოშტარიამ (მან „მოსკოვის სახელმწიფო, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი“ დაამთავრა და გამოსაშვებ საღამოზე რუსეთის ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ დაწერილი ჰიმნი შეასრულა. მგიმო კი იცით, რომ მთლიანად რუსეთის უშიშროების სამსახურის მიერ კონტროლირებადი ინსტიტუტია) პროკურატურაში სარჩელი შეიტანა.

პირდაპირ ვიტყვი – თუ არის შესაძლებელი, გაირკვეს, ვინ დააფინანსა ე.წ. „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული მასალა, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც ყველაფერი ცნობილია, კიდევ ერთხელ გამოჩნდება ნაცმზაკვრების ნამდვილი სახე.

მეორე „დარტყმა“ ირმა ინაშვილისა და გიორგი ლომიას მიერ აფხაზეთში, ილორის მონასტერში ღვთისმშობლის ხატის ჩაბრძანებას მოჰყვა.

იმ ხალხმა, ვინც 2008 წლის აგვისტოში 180 სოფელი რუსებს ჩააბარა, ვინც რუსთაველზე „გამარჯვებას ზეიმობდა“ მაშინ, როცა ქართველი გმირების ცხედრები უპატრონოდ იყო მიტოვებული, ვინც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის გამოისობით ოკუპანტი მცოცავ ოკუპაციას ახორციელებს, ვინც ომის შემდეგ ნამდვილი გმირები ციხეში ჩაყარა და სასტიკად გაუსწორდა, ბაზრის მეძავის მსგავსი წიოკი ატეხეს.

„ბოღმისა და ბოროტებისგან გაგიჟდნენ საქართველოს მტრები, გამყიდველები... ჩვენი მიწების ჩამბარებლები!

ყველა ფარჩაკს და მართლა მოღალატეს გეუბნებით: აფხაზებისა და ქართველების შერიგებას ხელს ვერ შეუშლით! მალე მთელი საქართველო შეიკრიბება თავისუფლების მოედანზე!!!“ – ამ ისტერიკას ირმა ინაშვილი ამ სიტყვებით გამოეხმაურა.

დაბოლოს – 29 აგვისტოს ვიღაც პროვოკატორებმა „პატრიოტთა ალიანსის“ ყალბი ბანერი დაამზადებინეს და ბათუმის ქუჩებში გამოფინეს.

ბუნებრივია, ამას მაშინვე მოჰყვა მერიის შესაბამისი სამსახურების რეაქცია და ბანერი ჩამოხსნეს.

მე რომ აქ ბევრი არ ვწერო, პირდაპირ ირმა ინაშვილის კომენტარს გთავაზობთ:

ყოველი ახალი დღე ახალი პროვოკაციით იწყება. დღეს აქტუალური ბათუმის ბანერის თემა გახდა. ეს ბანერი სრულიად განსხვავებული სახით მივიღეთ პოლიტსაბჭოზე. ბანერზე აქცენტირებული იყო აჭარა, მაგრამ არა წითელ ფერში, არამედ როგორც ყურადღების მიპყრობის ცენტრი, წარწერით – SOS! რასაც ფოტოზე ხედავთ!

მართალია, წითელი ფერიც იხილებოდა, შავიც და ყავისფერიც და კიდევ ბევრი სხვა ვარიანტი, მაგრამ საბოლოო ვარიანტი ეს იყო!

დღეს მთელი დღეა, ჟურნალისტებს ვპასუხობ კითხვაზე, რატომ უნდა დავიცვათ აჭარა, რა ხდება იქ განსაკუთრებული. აჭარაში რომ თურქეთის მხრიდან მიზანმიმართული ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია ხორციელდება, ამაზე მრავალი წელია, საჯაროდ ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ არა მარტო ტელეთერებში, არამედ პარლამენტში მქონდა რამდენიმე საჯარო მოხსენება აჭარის თემაზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პარლამენტის ტრიბუნიდან რამდენჯერმე მივმართე, რომ დაეწყოთ გამოძიება აჭარაში მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ ამ თემაზე ჩვენ კიდევ ბევრჯერ ვისაუბრებთ და, რა თქმა უნდა, დასაცავია აჭარა, დასაცავია ჩვენი წილი საქართველო!

ვიდრე ბანერის თემაზე გიპასუხებთ, ერთი საგულისხმო ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ: ეს ინფორმაცია 100%-ით სანდო და სარწმუნოა. სააკაშვილმა და ბოკერიამ გადაწყვიტეს და მოქმედებენ უკვე, რომ 50 000- დან 1 000 000 ლარს ზემოთ გადაუხადონ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი პარტიიდან შიდა ინფორმაციას გაიტანენ. სჭირდებათ ყველანაირი ინფორმაცია, რაზე ვსაუბრობთ, ვინ მოდის ჩვენთან, რას ვგეგმავთ, ვის ვეკონტაქტებით ტელეფონით და ა.შ. სჭირდებათ ფოტო, აუდიომასალა. მოკლედ, უკანონო გამოძიებას აწარმოებენ. ამ თანხების ფონზე ვინმეს 10 000 ლარი რომ გადაუხადონ, ცხადია, ის თავისუფლად გააგზავნის არასწორად შეფერადებულ ბანერსაც და გააკრავს კიდეც იმ ადგილზე, რომელიც მერიასთან დღემდე არ შეგვითანხმებია. ისე გააკრავს, რომ მეც, დავით თარხან-მოურავიც და პოლიტსაბჭოს წევრებიც ამას სააკაშვილ-ბოკერიას ტელევიზიებიდან გავიგებთ. დღეს ასეც მოხდა.

ანუ რას ვამბობ? იმას ვამბობ, რომ არ გამოვრიცხავ შიდა და გარე პროვოკაციას. ბანერიც სხვა ფერებში დაბეჭდეს, შეუთანხმებელ ადგილზე დაკიდეს, მერე თვითონვე მოხსნეს. ამით იაფფასიანი პიარი გაიკეთეს, ჩვენ კი ეს ყველაფერი ტელევიზიებიდან გავიგეთ! თანაც, ანჩისხატობის დღეს. რა შუაშია ანჩისხატობა? პირდაპირ შუაშია. ტაძრიდან მოვედი, არაფერი არ ვიცი, ოფისში ვისაც ეს საქმე ეხება, არავინაა და კომენტარებს საღამომდე ისე ვაკეთებ, რომ თვითონ არა ვარ თემაში გარკვეული. მოკლედ, ეს ყველაფერი მტრების მიერ დაგეგმილი და მოფიქრებული მგონია. თუმცა, შეიძლება შემთხვევითობების ჯაჭვია და ვცდები.

მთავარი კი ისაა, რომ დაუდოღლუს და ერდოღანის გამონათქვამებზე უნდა გავბრაზდეთ, აჭარაში მიმდინარე ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ექსპანსიაზე უნდა გავბრაზდეთ და არა ბანერის ფერის გამო, მოვაწყოთ ჭიქაში ქარიშხალი.

დღეს ბანერის თემას მდინარაძე, კობახიძე და კობახიძის მრჩეველი –შარმანაშვილი გამოეხმაურნენ. ფეიკი მეგონაო, – მდინარაძემ. მე თვითონ მდინარაძე მგონია პოლიტიკური ფეიკი. კობახიძე „შმატრიოტებზე“ რომ საუბრობს, ალბათ, თავის თავს გულისხმობს, ვინაიდან დღემდე ვერ გაიგო და კიდევ დიდხანს ვერ გაიგებს, რა არის ეროვნული ცნობიერება და ასეთი ადამიანი პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყო, ესეც ფეიკი მგონია და არა რეალობა. შარმანაშვილზე არაფერს ვიტყვი, ის, უბრალოდ, ნულია.

P. S. ისე, „ქართული ოცნების“ აჭარის კანდიდატების პრეზენტაცია თურქული გემის ფონზე რომ მიმდინარეობდა, ეს, ერთობ ეხმიანება ოცნების ლიდერების პათოსს“.

დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად არ არის რთული იმის დადგენა, თუ ვინ დაამზადა ბანერი, ვინ განათავსა და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან.

მოვუწოდებ შესაბამის სამსახურებს, დროულად გამოიძიონ და გაასაჯაროონ მსგავსი ბინძური ბრძოლის ყველა ფაქტი. გაასაჯაროონ, რადგანაც წინ არჩევნებია და რაც უფრო ვუახლოვდებით ნიშნულს, ვითარება უფრო და უფრო იძაბება.



დაბოლოს, როცა „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ დაწყებულ სისულელეებს გადავხედე, გამახსენდა ზვიად გამსახურდიას ერთი იგავი „დრენდოუტი და გუდურა“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ეჯახება ზღვაში მოტივტივე საცოდავი გუდურა დიდ დრენდოუტს იმისთვის, რომ ამ ძლიერ გემთან მებრძოლ რაინდად წარმოჩინდეს.

გია გაბრიჭიძე

სებასტიან მოლინეუსი: მოსახლეობისთვის ინტერნეტიზაციას ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია

„მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ახალი პროექტი სახელწოდებით Log-in Georgia, რომელიც მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის, კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა და განხორციელდა“, – ამის შესახებ მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა„ქრონიკასთან“ საუბრისას განაცხადა.

„მსურს, ხაზი გავუსვა ამ პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან ჩვენ მიზნად ვისახავთ 1 000 სოფლისა და 500 000 ადამიანის ფართოზოლოვან ინტერნეტთან დაკავშირებას, განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში. ჩემი აზრით, ეს პროექტი წარმოადგენს ორ მნიშვნელოვან შესაძლებლობას. პირველი - ის ხელს შეუწყობს მეტად მნიშვნელოვანი გამოწვევის დაძლევას, რომლის წინაშეც ვდგავართ საქართველოში. ესაა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური დუალიზმი. მაგალითად, როგორც ახლა, მე შემიძლია ინტერნეტში ნავიგაცია და თბილისში, ღია ცის ქვეშ პარკში მუშაობა, იგივე შესაძლებლობა ჰქონდეს თითოეულ მოქალაქეს სოფლებსა და მაღალმთიან დასახლებებში. მეორე - ჩემი აზრით, ამ პროექტიდან გამომდინარე, რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური შესაძლებლობა არსებობს, როგორიცაა მეწარმეობის ხელშეწყობა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის, ინტერნეტიზაციას ეკონომიკური სარგებლისა და კონკურენტუნარიანობის მოტანა შეუძლია“, – განაცხადა სებასტიან მოლინეუსმა.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის ფარგლებში, 1000 სოფელი მაღალი ხარისხის ინტერნეტს დაუკავშირდა. ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 35.7 მლნ ევროს მოცულობის (40 მლნ. აშშ დოლარი) დაფინანსება გამოყო Log-in Georgia პროექტისთვის, რომლის მიზანია საქართველოს სოფლის მოსახლეობის, საწარმოებისა და საჯარო დაწესებულებების მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტთან დაკავშირება და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ ᲘᲣᲓᲔᲜᲘᲩᲘᲡᲒᲐᲜ

პ. ᲑᲔᲠᲛᲝᲜᲓᲢ-ᲐᲕᲐᲚᲝᲕᲘ

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ ქრისტეფორე მგალობლიშვილის („შერეკილები“) ცნობილი მაქსიმა „აქედან ვერ წაშლი“?

ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ჩვენმა თანამემამულემ დატოვა წარუშლელი კვალი რუსეთის, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, მსოფლიო ისტორიაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ის კვალი სწორი იყო თუ აცაბაცა (გააჩნია ვინ საიდან, ბარიკადის რომელი მხრიდან აფასებს).

მახსოვრობიდან ვერ წაშლი ყოფილი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ამტყდარ უსასტიკეს სამოქალაქო ომში ქართველთა წვლილს, ოღონდ ეს წვლილი ჯერჯერობით მხოლოდ ცალმხრივად არის შესწავლილი. ვიცით წითლების — ბოლშევიკთა მხარეს მებრძოლთა მთელი კოჰორტა:

ოსებ ჯუღაშვილი-სტალინი — 1918 წ. ახლადშექმნილი სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, 1919 წ. პეტროგრადის/დასავლეთ ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი;

გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე — წითელი არმიის ერთ-ერთი დამაარსებელი ჩრდილოეთ კავკასიაში;

ნესტორ კალანდარიშვილი (ციმბირელი პაპა), იაკუტიისა და ჩრდილოეთის მხარის ჯარების სარდალი;

ლუკიანე თაბუკაშვილი — მე-12 წითელი არმიის რწმუნებული, რკინიგზაზე სამხედრო რევკომის წევრი;

ვასილ კიკვიძე — საბჭოთა უკრაინის მე-4 არმიის სარდალი, ფრონიტის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე... და სხვები (უმსხვილესნი და საშუალონი), მაგრამ ნაეკლებად ვიცნობთ თეთრების რიგებში მყოფთ.

მათგან ყველაზე თვალსაჩინოა გენერალ-მაიორი, **თავადი პავლე რაფაილის (მიხეილის) ძე ბერმონდტ-ავალოვი (ავალოვ-ბერმონდტი)** — ბალტიისპირეთში სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. ბალტიისპირეთში რუსულმა თეთრმა მოძრაობამ ორი უძლიერესი მოღვაწე წამოსწია — თავადები არარუსული გვარებით: ლატვიელი მიწათმფლობელი, უგანათლებულესი თავადი **ანატოლი ლივენი** და ქართული წარმოშობის თავადი **გენერალ-მაიორი პავლე ბერმონდტ-ავალოვი**.

ᲗᲘᲚᲘ იყო ეს კაცი, რომლის გვარმაც და საქმეებმაც თავის დროზე უამრავი ხმაური გამოიწვია? მის შესახებ საკმაოდ ბევრია ცნობილი რუსულ და გერმანულ, ნაწილობრივ კი ინგლისურ, ფრანგულ, ლატვიურ და ესტონურ ისტორიოგრაფიაში, თუმცა არსად არ არის მითითებული მისი ქართული წარმომავლობა, ქართველობა მას ფაქტობრივად არ იცნობს, მხოლოდ ბოლო დროს ინტერნეტში გამოქვეყნებულ **დავით ფეიქრიშვილის, უჩა მურღულიას, ნიკო ჯავახიშვილის** პოსტებმა წარმოაჩინა ეს კაცი. მისი ბიოგრაფიის პირველი ნაწილი ბურუსით არის მოცული, სადაც გზის გაკვალვა ერთობ ძნელია.

რუსული წყაროების მიხედვით დაიბადა 1877 ან 1884 წელს. მისი მტრები ქილიკობდნენ, ვლადივოსტოკში იშვა, მონათლული ებრაელი იუველირის ბერმანის ნაშიერიაო. გვარი ბერმანი შემდეგ, არმიაში მყოფმა შეიცვალა ბერმანდტად, ებრაული ელფერის ჩამოსაცილებლადო.

ქართველი მკვლევარები უფრო დაზუსტებულ ცნობებს იძლევიან: დაიბადა 1877 წ. 4(16) მარტს ტფილისში. მამამისი რაფაილ ბერმონდტი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომის მონაწილე იყო, დედა ქართველ თავად ავალიშვილთა წარმომადგენელი გახლდათ. როგორც თვითონ ამბობდა თავად მიხეილ ანტონის ძე ავალოვის (ავალიშვილის), დედამისის მეორე ქმრის, ნაშვილები იყო. 1919 წლიდან თავს ასე უწოდებდა: პავლე მიხეილის ძე ავალოვ-ბერმონდტი.

დანამდვილებით ცნობილია, რომ, როგორც მუსიკალური განთლების მქონე, 1901 წელს კაპელმაისტერად აიყვანეს ტრანსიიაკალის კაზაკთა არმიის პირველ არგუნის პოლკში. 1904 წელს ამ პოლკში უკვე მებრძოლად ჩაირიცხა, როგორც მოხალისე. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში. მამაცურად იბრძოდა, დააჯილდოვეს ჯარისკაცის ორი ჯვრით. გამოცდები ჩააბარა ტვერის საკავალერიო სასწავლებელში და 1905 წ. დეკემბერში ოფიცრის პირველი წოდება — პრაპორშჩიკობა მიიღო. 1906 წ. გადაიყვანეს უსურიის კაზაკთა სამართველოში და რეგისტრაციაში გაატარეს როგორც უსურის კაზაკი. 1908 წელს კორნეტად

პ. ᲑᲔᲠᲛᲝᲜᲓᲢ-ᲐᲕᲐᲚᲝᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲗ, 1921 წ.

(უმცროს ოფიცრად) დააწინაურეს.

1909 წელს რაღაც დაუდგენელი ფათერაკის გამო თადარიგში გასვლა მოუხდა. რას აკეთებდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, ბურუსით არის მოცული. I მსოფლიო ომის დაწყების უმალ არმიაში დაბრუნდა, მეორე კავკასიური არმიის კორპუსის მეთაურის გენარალ ა. მიშჩენკოს ადიუტანტი იყო,. მიენიჭა კაპიტნობა. ორჯერ დაიჭრა. დაჯილდოვდა წმ. გიორგის და წმ. ანას ორდენებით, სამახსოვრო იარაღით „მამაცობისთვის“.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის ულანთა პოლკის მეთაურად აირჩიეს. მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. ოქრომბრის რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ჟიტომირში. უკრაინის ჰეტმანმა პ. სკოროპადსკიმ თავის არმიაში მიიღო და ქალაქ როვნოს კომენდანტად დანიშნა. **პ. ავალოვი გერმანიის საოკუპაციო ხელმძღვანელობას დაუმეგობრდა და როცა ფელდმარშალმა ეიჰორნმა რუსი ოფიცირებისგან პროგერმანული სამხრეთის არმია შექმნა, ამ არმიის კონტრდაზვერვის უფროსობა მას ანდო.**

მაგრამ გერმანიამ ომი წააგო. ეიჰორნის არმიამ უკრაინა დატოვა, პავლე ავალოვს გერმანელებთან ერთად წასვლა მოუხდა. მან ადგილმონაცვლე პირთა ზალცედელის ბანაკში ამოჰყო თავი. იქ ნაცნობი გერმანელი ოფიცრები ხშირად სტუმრობდნენ. საერთოდ, ბანაკის საერთო პირობები მისთვის საკმაოდ კომფორტული იყო. ის თითქოს რეზერვში ჰყავდათ.

1919 წლის 2 იანვარს ბოლშევიკებმა რიგა დაიკავეს. ლატვიის დროებითმა მთავრობამ კარლის ულმანისის მეთაურობით ლიბავაში გადაინაცვლა და გერმანელებს დახმარება სთხოვა. გერმანიის საოკუპაციო ძალების მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ფონ დერ გოლცმა „რევოლუციური იდეებისგან ჯერ კიდევ შეურყვნელი“ ნაწილებისგან „რკინის დივიზია“ შეაკოწიწა, ლატვიელების, ბალტების (ბალტიისპირელი გერმანელები), რუსებისგან კი ბალტიის ლანდასვერი (საბალხო ლაშქარი) შეადგინეს.

1919 წ. თებერვალში თეთრებმა მთელი ამ არმადით რამდენიმე ქალაქი აიღეს და რიგაზე შეტევისთვის მზადება დაიწყეს. მაგრამ ამ მომენტში კონტრევოლუციის ბანაკში განხეთქილება მოხდა — გერმანიის ნაწილებმა ულმანისის მთავრობის უფრო პროგერმანულით შეცვლა მოითხოვეს და როგორც იტყვიან, მონასტერი აირია, თანაც საგანგებო რაზმის მეთაურია თავადი ლივენი ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ბალტიისპირეთის რუსული თეთრი მოძრაობა ფაქტობრივად უთავოდ დარჩა.

და მაშინ გერმანელებმა სცენაზე ბერმონდტ-ავალოვი გამოიყვანეს. მას გვარიანი თანხა მისცეს მოხალისეთა პარტიზანული ცხენოსანი მეტყვიამრფქვევთა რაზმის შესაქმნელად. 1919 წ. ივნისის შუახანებში ეს მხედრობა მიტავაში ჩავიდა. სხვათა შორის, იქ პ. ავალოვმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რუსეთის ერთ-ერთი დიდი მთავრის უკანონო შვილი ვარო. ოღონდ მოგვიანებით ცოტა დაუწია და თავად მიხეილ ავალიშვილის ნაშვილებად წარმოადგინა თავი, დედით კი ძველქართული საგვარეულოს შთამომავალი ვარო.

ავალიშვილები მართლაც ერთ-ერთი უძველესი და წარჩინებული ფეოდალური გვარია, რომელიც სათავეს მესხეთიდან იღებს. ავალიშვილების სათავადოს დაფუძნება სამცხე-ჯავახეთისა და თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა), სხვა სათავადოების ჩამოყალიბების თანადროულად, XIV-XV საუკუნეებში მოხდა. ავალიშვილებს ეკუთვნოდათ ბორჯომის ხეობის სამი ნაწილიდან ორი: მტკვრის ხეობა და სადგერის ხეობა.

XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან საავალიშვილო, სამცხე-საათაბაგოსთან ერთად, იმერეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ — სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში, უკანასკნელი მეოთხედიდან კი ოსმალებმა მიიტაცეს, რის გამოც, XVII-XVIII საუკუნეებში ავალიშვილთა დიდი ნაწილი გადასახლდა შიდა ქართლში (ტაშისკარი, სურამი, არადეთი, ბრეთი, აბისი), კახეთში (თელავი, კონდოლი, კალაური, ჩუმლაყი, კაკაბეთი და საგარეჯო) და იმერეთში (ხიდარი, ვარძია, კიცხი). იმერეთსა და გარეკახეთში ჩასახლებულმა ავალიშვილებმა თავადობა დაკარგეს და გააზნაურდნენ.

1852 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ბორჯომის ხეობაში ავალიშვილთა სათავადო საბოლოოდ გააუქმა და ავალიშვილთა 6 ოჯახს მემკვიდრეობითი პენსიის სახით 5000 რუბლი დაუნიშნა.

თავადი ავალიშვილები წარმატებით მოღვაწეობდნენ სახელმწიფო, სამხედრო, სასულიერო სარბიელზე. ხელშესახები წვლილი აქვთ შეტანილი ქართული მეცნიერების, სპორტისა და ხელოვნების განვითარებაში. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი დიპლომატმა, მოგზაურმა, მთარგმნელმა და ლიტერატორმა გიორგი ავალიშვილმა (1769-1850) და იურისტმა, მკვლევარმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ზურაბ ავალიშვილმა (1875-1944).

ამ საგვარეულოში პავლე ავალიშვილი-ავალოვი ჯერჯერობით არ იძებნება, მაგრამ ასეა თუ ისე, პავლე რაფაილის (მიხეილის) ძე ავალოვი რომ ნამდვილად არსებობდა, ეს ამ ისტორიითაც ნათელია. ისიც ფაქტია, რომ იგი ოფიცრის სამხრეებს მშვენივრად მორგებულ შავ ჩოხაზე იმაგრებდა და აცქვეტილი ულვაშებითა და საერთო იერით ძალიან ჰგავდა ქართველ კაცს.

ᲐᲮᲚᲐ ისევ ამბავს მივყვეთ.

მოგვიანებით ავალოვმა პოლკოვნიკ ვირგულიჩის რაზმი შეიერთა და მოხალისეთა დასავლეთის არმიის ბაზად და იმედად იქცა. სინამდვილეში ავალოვი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა.

მან 9 ივლისს გენერალ იუდენიჩისგან ბრძანება მიიღო, რომ ჩრდილო-დასავლეთის არმიას შეერთეოდა ნარვის ფრონტზე, რასაც ბრიტანელებიც უჭერდნენ მხარს. იქ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. პოლკოვნიკმა ავალოვმა უარი თქვა იუდენიჩის ბრძანების შესრულებაზე ნარვის ფრონტზე გადასვლის შესახებ, რადგან მისი ჯარების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ამ ოფიციალური ახსნის გარდა, იყო სხვაც: ავალოვი მიიჩნევდა, რომ მის კორპუსს არ უნდა დაეტოვებინა ლატვია, იქ უნდა დარჩენილიყო, როგორც ნამდვილი რუსული სამხედრო ძალა. ის თავის შენაერთს, სხვათა თანაბრად, დამოუკიდებლად მიიჩნევდა და არა ჩრდილო-დასავლეთის არმიის დაქვემდებარებულად.

მან ფონ გოლცის რჩევა ისმინა, რომელსაც თავისი „რკინის დივიზიიდან“ ჯარისკაცები და ოფიცრები დაჩქარებული ტემპით გადაჰყავდა დასავლეთის კორპუსში. მოკლე დროში კორპუსი 50-ათასკაციან არმიად იქცა. „განუყოფელი და ერთიანი რუსეთისთვის“ ბრძოლის სურვილი გამოთქვეს მომავალმა ჰიტლერელმა ფელდმარშლებმა: ლეებმა, კიუხლერმა, კლაისტმა, მომავალმა გენერლებმა ფრიჩმა, გუდერიანმა, არნიმმა, შტილპნაგელმა და სხვებმა. არმია გაძლიერდა 600 ტყვიამფრქვევით, 100 ქვემეხით, 50 ნაღმტყორცნით, 3 ჯავშნოსანი მატარებლით, 120 თვითმფრინავითა და 10 ჯავშანმანქანით. შესადარებლად: იმ დროს იუდენიჩს, რომელმაც წარმატებული შეტევა წამოიწყო პეტროგრადზე, სულ 18,5 ათასი მებრძოლი თუ ჰყავდა.

ოქტომბერში, იმის ნაცვ-

ლად, რომ იუდენიჩისთვის მხარი დაეჭირა, დასავლეთის არმიამ რიგაზე შეტევა წამოიწყო — ომი გამოუცუხადა ლატვიასა და ესტონეთს.

ბერლინმა ფონ გოლცი სასწრაფოდ გაიწვია და სიცილი დაიწყო, მომხდართან არავითარი კავშირი არ მაქვსო. ავალოვმა მაშინვე განაცხადა, რომ აპირებდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შეყვანას „აღდგენილ რუსეთის იმპერიაში“, მაგრამ თეთრი მოძრაობის ყველა ლიდერი (კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი) გაემიჯნა მის ამ წამოწყებას.

ჩეკას საზღვარგარეთული განყოფილება 1921 წ. 12 სექტემბერს მოსკოვს „სრულიად საიდუმლოდ“ აცნობებდა: **1. ბერმონდტ-ავალოვმა შეიმუშავა ინტერვენციის გეგმა, რომლის შედეგადაც აპირებენ რუსეთის დასავლეთში დაიკავონ 5-6 ყოფილი გუბერნიის ტერიტორია და იქ სრული წესრიგი დაამყარონ. იქიდან აპირებენ განაგრძონ სვლა საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოდ დასამხობად. ამის განსახორციელებლად განიხილება 3 შესაძლებლობა: 1. არმიის ფორმირება გერმანიის ტერიტორიაზე, 2. არმიის შექმნა მოსაზღვრე სახელმწიფოთა (პოლონეთის გარდა) დახმარებით, 3. არმიის შექმნა აღმოსავლეთ პრუსიის საკითხის გამწვავების შემთხვევაში.**

გენერალ ავალოვის მიერ გამოშვებული ბონი


გენერალ ავალოვის მიერ დაარსებული ორდერი

ულმანისის მთავრობა ცეესისში გადავიდა. ჩრდილოეთიდან ლატვიელების დასახმარებლად ესტონელები დაიძრნენ, ინგლის-საფრანგეთის ესკადრა ბალტიისპირელებს სახომალდო არტილერიას ცეცხლით უჭერდა მხარს.

ამ დროს პეტროგრადთან სასწორის პინა ხან წითლებისკენ იხრებოდა, ხან — თეთრებისკენ. სასოწარკვეთილი იუდენიჩი კი ამაოდ იმედოვნებდა, რომ თავადი ავალოვი გონს მოეგებოდა და მის დასახმარებლად გაეშურებოდა. არადა, ასე რომ მომხდარიყო, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა რუსეთის ისტორია, სრულიად შესაძლებელი იყო, გაწითლებას გადარჩენოდა! ამიტომ ქილიკობდნენ იუდენიჩის დამარცხების შემდეგ, საცა სამართალია, ავალოვი ბოლშევიკებს ბრძოლის წითელი დროშის ორდენით უნდა დაეჯილდოებინათო.

გენერალ გოლცის გაწვევის შემდეგ მისი კორპუსი დაიშალა. ავალოვის „რუსეთის არმიამ“ 300 მილიონი მარკა მიიღო. ბურთი და მოედანი მას დარჩა. 5 სექტემბერს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ავალოვი კურლანდიასა და ლატვიაში ჩამოყალიბებული ყველა რუსული სამხედრო ერთეულის მეთაურად დაინიშნა. 20 სექტემბერს ახალმა მთავარსარდალმა „ლატვიის ხალხს“ განუცხადა, რომ იგი იყო „რუსული სახელმწიფო ძალაუფლების წარმომადგენელი“ და სრული ძალაუფლება ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ამით უგულებელყო ლატვიის სუვერენიტეტი და ხელისუფლება.

ამ დროს ავალოვის კორპუსში, რომელიც ცნობილი იყო, როგორც რუსეთის დასავლეთის მოხალისეთა არმია, დაახლოებით 50 ათასი ჯარისკაცი იყო. არმიის სარდალი და „რუსული სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი“ პ. ბერმონდტ-ავალოვი ერთობ ამბიციურად ირჯებოდა: დააწესა (1919 წ. მარტი) საკუთარი ორდენი, რომელიც წარმოადგენდა 51 მმ მალტის ჯვრის ფორმის შავი მინანქრით დაფარულ თეთრი ლითონის სამკერდე ნიშანს. ორდენი 2 ხარისხისა იყო: სამხედრო პირები ღებულობდნენ ორდენს ხმლებით, სამოქალაქოები კი — უხმლებოდ. ორდენს ატარებდნენ ყელზე შებმულ რუსული და გერმანული ეროვნული ფერებისგან შედგენილ ლენტზე. 1919 წლის ოქტომბრიდან დაიწყო 1 და 5 მარკის ნომინალის ბონების გამოშვება.

პ. ბერმონდტ-ავალოვის გერმანულ-რუსული ნაწილებისა და ესტონელ-ლატვიელთა ლაშქრის ბრძოლა ერთი თვე გაგრძელდა. ბალტიისპირული გაზეთები აჭრებული იყო სათაურებით **„შავი რაინდი** (პ. ავალოვი — **ა.ა.**) **კვლავ მოდის!“** დასავლეთის არმიას მოსახლეობაში სახელი ჰქონდა გატეხილი ძარცვა-გლეჯის გამო,. ხშირი იყო დეზერტირობა. ერთადერთმა სუფთა რუსულმა შენაერთმა — პლასტუნების პირველმა ბატალიონმა სანგრები მიატოვა და უკვალოდ აორთქლდა. ნოემბრის შუა რიცხვებისთვის ბერმონდტ-ავალოვის ნაწილები ლატვიიდან გამოყარეს, ისინი მალე დაიშალნენ.

ითვლება, რომ გენერალ-მაიორი პ. ბერმონდტ-ავალოვი ლატვიაში თავისი სამხედრო მოქმედებით, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგით გერმანული ინტრიგების მსხვერპლი იყო, რაც მიზნად ისახავდა ბალანსს გერმანული, პროგერმანული და გაძლიერებული ბრიტანული პოზიციების განმტკიცებას შორის.

ამრიბად გენერალ-მაიორ პ. ბერმონდტ-ავალოვის „თეთრი ბრძოლა“ მარცხით დასრულდა. ის ემიგრაციაში წავიდა გერმანიაში. იქ დამკვიდრებაში გერმანელი მეგობრები დაეხმარნენ. მისი ერთი თანამედროვე წერდა, რომ ის ქალებში დიდი წარმატებით სარგებლობდა, რომ მასზე გამიჯნურებული იყო რომელიღაც გავლენიანი გერმანელი დიდგვაროვანი ქალბატონი. 1925 წელს ჰამბურგში გამოაქვეყნა მრავალგვერდიანი, უხვად ილუსტრირებული მემუარები „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. მკითხველს თავს წარმოუჩენდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ თითქმის ერთადერთ, მთავარ მებრძოლად.

თანაუგრძნობდა ნაცისტებს. როცა აუცილებელი გახდა რუს ემიგრანტთა წრეში მოენახათ ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა რუსეთის ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას, ასეთად კანონზომიერად მიიჩნიეს თავადი პ. ავალოვი. ერთი ისტორიკოსი შენიშნავს, „ულვაშა არმიელი ოფიცერი პოპულარობით სარგებლობდა ხელქვეითებში, ზოგიერთი მათგანი ემიგრაციაშიც წაიყვანა. ავალოვის წყალობით გაწევრიანდნენ ბალტიის კამპანიის ვეტერანებიო. 1933 წელს ხელმძღვანელობდა „რუსეთის ეროვნულგანმათავისუფლებელ სოციალისტურ მოძრაობას. გესტაპოს მიერ ამ „მოძრაობის“ დაშლის შემდეგ შექმნა „რუსეთის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა“ (**რონდ**); ჰყავდა მოიერიშეთა რაზმები, რომლებიც გერმანიის ქალაქების ქუჩებში კომუნისტებსა და ახალგაზრდა სპარტაკლებს ებრძოდა. რუსი ემიგრანტების ინტრიგათა გამო ეს ორგანიზაციაც დახურეს, მას კი თვალი დაადგეს...

1938 წელს პ. ავალოვი გესტაპომ დააპატიმრა და ცნობილ მოაბიტის ციხეში ჩასვა, ამასთან, არის ცნობებიც, დააპატიმრეს რაღაც ფინანსური დარღვევების გამოო.

ციხეში წელიწადნახევარი იჯდა. გაათავისუფლეს... მუსოლინის პირადი თხოვნით და იტალიას შეაფარა თავი. იქიდან საცხოვრებლად ბელგრადში გადავიდა, ხოლო 1941 წელს აშშ-ში გაემგზავრა. ნაცისტურ გერმანიაში პატიმრობის ფაქტი დაეხმარა ომის შემდეგ დენაციფიკაციის თავიდან აცილებაში.

ჰყავდაო მეუღლე — რუსეთის დიდი მთავრის კირილ ვლადიმიროვიჩის ბიძაშვილი, ბარონესა მეკლენბერგ-შვერინსკაია.

გარდაიცვალა 1973 წელს ნიუიორკში 96 წლისა. მან თითქმის ყველა თანამებრძოლისა და მოწინააღმდეგის იმ ქვეყნად გასტუმრება მოასწრო. ცოტა არ იყოს საეჭვო დიდება დატოვა, მაგრამ სამოქალაქო ომში, როგორც თეთრებში, ისე წითლებში ვინ იყო ფრთიანი ანგელოზი!..

ალეკო ასლანიშვილი

◎ **როდემდე, მოდგავ დავით სოსლანის?!**

ბელა შალვაშვილი:
ყველაფერი სიმართლით უნდა აისახოს!

„ძალზე კეთილშობილური ზრახვაა, ფილმი გადაიღო და სიმართლე მიაწვდინო ადამიანებს“, — ამბობს ქართველი ისტორიკოსების მიერ დოკუმენტური ფილმის - „ცხინვალი 1920“ გადაღებაზე, პოეტი, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ყველა წიგნის მთარგმნელი, ირანის მთავრობის მიერ ფირდოუსის პრემიის მფლობელი ბელა შალვაშვილი და იქვე განაგრძობს:

— მაგრამ ეს შენი სიმართლე, ადვილი შესაძლებელია, უმალ გაგიცამტვეროს ავის მოსურნემ, რომელიც ერთობ გაწაფულია ამ საქმეში.

— ჩემი მოგონილი არ არის ის ამბავი, რომ შემდეგში სამხრეთ ოსეთად წოდებულ სამაჩაბლოში მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ რაღაც სამი თუ ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. ისინი რაღაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჩამოსულან საქართველოში, მაჩაბლებისა და ამილახვრების მიწა უთხოვიათ იჯარით, დაფუძნებულან, სული მოუთქვამთ, მერე და მერე ხალხი ხომ ასეთია, იქ კარგად მოწყობილანო, ხმები გავარდნილა და იმ უკვე წელში გამართულებისთვის სხვებსაც მიუბაძავთ. აი, ჩვენი დამღუპველი ტოლერანტობაც ეს არის — აფხაზებისა არ იყოს, აფსუები ისე არიან აფხაზები, როგორც ჩვენ ვართ ესპანელები თუ იტალიელები.

— ფაქტების გაყალბებით ცდილობენ, ბრალი დასდონ ქართულ მხარეს ოსების გენოციდში, რასაც ეს ფილმი დაუპირისპირდება...

— კი ბატონო, სიმართლეს რა სჯობს, თუ სიმართლეს მიაწვდენ ოსებს, თუნდაც სხვებს, სინამდვილეში, რა როგორ იყო, რომ ორიოდე საუკუნის წინ ეს ე.წ. სამხრეთ ოსეთი მაჩაბლებით და ამილახვრებით იყო დასახლებული, და ვინც იქ ჩამოვიდა, დიდსულოვნად მიიღეს ამ დიდგვაროვანმა ადამიანებმა. ეს თუ ფილმში ცხადად და მართლად აისახება, ამ ფაქტს სიხარულით მივესალმები, რადგან ყველაფერს რომ თავისი სახელი დაერქმევა, ეს მისასალმებელია.

ჩვენმა ისტორიკოსებმა, დიახაც, სიმართლე იციან, ძალიან კარგადაც იციან, როგორ ჩამოდიოდნენ ოსები, როგორ წარიმართა მოვლენები... და გამოსავალი, - თუკი ესეც გამოსავალია, — როგორ დაერქვა სამაჩაბლოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ეს ყველაფერი უთუოდ სიმართლით უნდა აისახოს. მერე რუსეთის როლი ოსების წაქეზებაზე, იმ თვალსაზრისით, რომ ხელში ჩაეგდოთ ეს მიწა, ეს ყველაფერი იქნება მართლა მისასალმებელი.

ნაპრეზიდენტალი ედუარდ კოკოითი - „ფანდარასტ“?

რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, ყოფილი ე.წ. პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი არ შეუშვეს. აღნიშნულ ინფორმაციას „კავკაზ რეალიი“ ავრცელებს. ცხინვალში გამგზავრებამდე კოკოითმა სოციალურ ქსელებში მხარდაჭერა გამოუცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის გადადგომის მოთხოვნით შეკრებილ დემონსტრანტებს.

მედიასაშუალების ცნობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ შეშვების მიზეზად კოკოითს კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვები დაუსახელეს. ამის შემდეგ კოკოითი და მისი თანმხლები პირები უკან გაბრუნდნენ. ცხინვალიდან უკან დაბრუნებულმა კოკოითმა ვიდეომიმართვა გაავრცელა.

„მოგმართავ თხოვნით. ეს არ არის ულტიმატუმი, ეს თხოვნაა. შენ ცდილობ, მიაღწიო, რომ მე სამხრეთ ოსეთში ვერ დავბრუნდე. შენ ეს არ გამოგივა. მე ვიქნები სამხრეთ ოსეთში, მაგრამ თუ შენ ამის ასე ძალიან გეშინია, სიტყვას გაძლევ, მე არ ჩამოვალ სამხრეთ ოსეთში, თუ შენ 31 აგვისტოს 12:00 საათზე გადადგები და შეწყვეტს ოსი ხალხის წამებას“, — აცხადებს კოკოითი ვიდეომიმართვაში.

ამავე დროს, კოკოითიმ ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში გარდაცვლილი ინალ ჯაბიევის ნათესავებსა და ახალგაზრდებს მოუწოდა, უარი თქვან სისხლიან შურისძიებაზე. „ისინი, ვინც ეს საძაგელი დანაშაული ჩაიდინა, აუცილებლად დაისჯებიან“, — განაცხადა კოკოითიმ.

ედუარდ კოკოითის თქმით, მან შეცდომა ჩაიდინა 2011 წელს, როდესაც პოლიტიკურ არენაზე ანატოლი ბიბილოვი მოიყვანა და 2017 წელს, როდესაც ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე მის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

„მე ვაღიარებ ამ შეცდომას ჩემი ხალხის წინაშე და დღეს მინდა გავაკეთო ყველაფერი, რომ ეს შეცდომა გამოვასწორო და არ დავუშვა ოსეთში სამოქალაქო ომი და სისხლისღვრა“, — განაცხადა კოკოითიმ.

შეგახსენებთ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალში მიტინგები მას შემდეგ დაიწყო, რაც წინასწარი დაკავების იზოლატორში გარდაიცვალა ინალ ჯაბიევი, რომელსაც ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრ იგორ ნანიევზე თავდასხმაში ადანაშაულებდნენ. საპროტესტო აქციებს ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. მთავრობის გადაყენება მოჰყვა.

ოკუპანტებს მხოლოდ დიპლომატიის ენით უნდა ველაპარაკოთ!

თვითონ თურქებმა არ მოუწონეს ეს საქციელი ერდოღანს, ქრისტიანულ სალოცავში შესვლას ალაჰი არ გვაპატიებსო!..

აია სოფიას შემდეგ ერდოღანი სხვა მართლმადიდებლურ ტაძრებსაც მიადგა. საუბარია მაცხოვრის სახელობის ხორას მონასტერზე, რომლის მეჩეთად გადაკეთებასაც თურქები გეგმავენ. აღნიშნული ბიზანტიური ძეგლი კომნენოსების იმპერატორთა დროინდელია და თავისი შედევრი ფრესკებითაა ცნობილი. სწორედ ამ ფრესკებს მოუწევს დაფარვა, რათა ეკლესია მეჩეთად გადაკეთდეს.

მეექვსე საუკუნის ეს ტაძარი სტამბოლში ფათიხის რაიონში მდებარეობს. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ხორას ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს და 434 წლის განმავლობაში მეჩეთად ფუნქციობდა. 1945 წელს მუზეუმად გადაკეთდა, ახლა კი კვლავ მეჩეთის ფუნქციას დაუბრუნებენ.

ფაქტია, იუნესკოს გაფრთხილებას ერდოღანმა წაუყრუა. ვინ უნდა შეაჩეროს იგი, რომ სხვა ტაძრების ჯერიც არ დადგეს?

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** მიიჩნევს, რომ ერდოღანი ძლიერი, ჯიუტი მმართველია, რომელიც კრიტიკული ხედვის გარეშე არ მიჰყვება ათათურქის გზას, პოლიტიკაში ის უფრო იხრება ოსმალეთის იმპერიის ძველი დიდებისა და გავლენის აღდგენისკენ, განსაკუთრებით, ეს თვალშისაცემია მისი მმართველობის ბოლო პერიოდში, როცა ერდოღანის ავტორიტეტი და პოპულარობა თურქულ საზოგადოებაში შემცირდა.

ანალიტიკოსის აზრით, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ის ამბოხი, გადატრიალება, რომელიც გიულენს მიეწერება, ერდოღანმა ძალის გამოყენებით ჩაახშო და დღეს უკვე სტამბოლისა და ანკარის მერები ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, ანუ მათ გაიმარჯვეს სამართლიან არჩევნებში. აქედან გამომდინარე, ერდოღანს საკმაოდ მერყევი მდგომარეობა აქვს, ასეთ ვითარებაში მმართველები ხშირად მიმართავენ ნაციონალისტურ გრძნობებზე თამაშს. ასეთი მისწრაფებები ისედაც ახასიათებდა ერდოღანს თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე.

„ბუნებრივია, ამ ვითარებაში მან გადადგა პოპულისტური ნაბიჯები და აია სოფიას შემდეგ ხორას მონასტრის მეჩეთად გადაკეთება გადაწყვიტა, რომელიც ბოლო დრომდე მუზეუმი იყო. აია სოფია ქრისტიანული სამყაროს მთავარი სასულიერო ცენტრი გახლდათ, ვიდრე რომში არ გადაინაცვლებდა კათოლიციზმის გავლენის ცენტრი. კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული, როცა დაიწყო ამ ტაძრის მშენებლობა, ერთხელ გადაიწვა ეს ტაძარი, მერე იუსტინიანეს დროს თავიდან იქნა აგებული. რაც შეეხება იუნესკოს, იუნესკო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც ერდოღანს შეაჩერებს, იუნესკოს გავლენა დღევანდელ მსოფლიოში საპატიო და მნიშვნელოვანია, მაგრამ მას არა აქვს იმის ძალა და გავლენა, ერდოღანს უკან დაახევინოს. ერდოღანს თავისი პოლიტიკის გატარებისას საკუთარი ვერსია აქვს, ის ამბობს, ათასი წელი, კი ბატონო, მთავარი ქრისტიანული სალოცავი იყო აია სოფია, მაგრამ მერე 500 წელი იყო მეჩეთი და არ ვეთანხმები ათათურქსო, რადგან იყო მეჩეთი 5 საუკუნე... ასეთია მისი ლოგიკა. ამას დასავლეთის მხრიდან მწვავე რეაქცია, მკაფიო პოზიცია სჭირდება, ვგულისხმობ სანქციებს, რისი საშუალებაც დღეს ამ მოცემულობით დასავლეთს არა აქვს.

თურქეთს ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში, ის იყო ფორპოსტი ნატოს და დასავლეთის ცივი ომის პირობებში და არანაკლები მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და გეოპოლიტიკის ახალი კონფიგურაცია იქმნება მსოფლიოში. ამიტომ არც ველოდი, რომ თურქეთის ამ ნაბიჯებს მკვეთრი რეაქცია მოჰყვებოდა დასავლეთის მხრიდან“, — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

მისივე განმარტებით, ასე მარტივად არ არის საქმე, რადგან თურქეთის ტერიტორიაზე მილიონობით დევნილია სირიიდან. მათ მოსავლელად ევროკავშირი თურქეთს მილიარდობით ევროს აძლევს, ამ თანხის მიცემის თანმიმდევრობაზეც ხშირად მიმდინარეობს ვაჭრობა და დავა. თურქეთმა რომ გახსნას საზღვრები და ეს დევნილები მიუშვას ევროპისკენ, ევროპა ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. თანაც, სირიაში კონფლიქტი არ არის მოგვარებული და ერთ-ერთი აქტორი სწორედ თურქეთია ამ მიმართულებით. ასე რომ, მოსალოდნელი არც იყო და არც გამოხატულა მკვეთრი და მკაფიო დაგმობა ამერიკის, ევროკავშირისა და ნატოს მხრიდან თურქეთის ამ საკმაოდ მკაფიო ნაბიჯის მიმართ. ერდოღანის თვალთახედვით, ახლა ის დროა, ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ძლიერების აღსადგენად გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგას.

ვაჟა ბერიძის აზრით, ცივილიზებული მსოფლიოსთვის მიუღებელია, რომ ძველ ქრისტიანულ სალოცავებში მეჩეთები იხსნება, მაგრამ ესეც უნდა გახდეს თურქეთთან თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემის გამომხატველი დიალოგის საგანი, რადგან ათათურქის მემკვიდრეობა არ გულისხმობს დასავლეთთან დაპირისპირებას. ბევრი თვალსაზრისით, თურქეთი დასავლეთზეცაა დამოკიდებული ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

„ჩვენთვის ეს საყურადღებოა, რამდენადაც თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ბევრი ისტორიული ძეგლია, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ძეგლების მდგომარეობა, მომავალი. საქართველოს აქვს სტრატეგიული თანამშრომლობა თურქეთთან, აქედან გამომდინარე, არა მგონია, იმავე ნიშაში მოხვდეს ქართული ეკლესია-მონსტრები, კულტურის ძეგლები, როგორც ეს ხდება აია სოფიასა და ხორას მონასტრის მიმართ. ჩვენ გვაქვს გარკვეული ურთიერთობები თურქეთთან, ჯერჯერობით საუბარია ამ ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, მათ რესტავრაციაზე, საამისოდ გარკვეულ პირობებს აყენებენ თურქები, შესაძლოა, ჩვენთვის ბოლომდე არცთუ მისაღებს და გასაგებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ ცვლიან თავიანთ პოლიტიკას ქართული კულტურის ძეგლებთან მიმართებით დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. ჩვენ ამ მიმართულებით უნდა გვქონდეს ინტენსიური დიალოგი თურქეთის ხელისუფლებასთან. საუბარი ამ ეტაპზე არ არის იქაურ ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის აღდგენაზე, მაგრამ პერსპექტივაში არაფერია გამორიცხული, თუკი ეს ურთიერთგაგება, რაც დამოუკიდებლობის პერიოდში არსებობს საქართველოსა და თურქეთს შორის, განვითარდება და გაგრძელდება, რადგან ჩვენ არ ვართ საფრთხე თურქეთის ეროვნული ინტერესებისთვის“, — მიიჩნევს ვაჟა ბერიძე.

ანალიტიკოსის მოსაზრებით, შესაძლოა, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მწვავედ რეაგირებდეს თურქული ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე, განსაკუთრებით, აჭარაში, მაგრამ ყველა პრობლემა ჩვენს დიდ მეზობელთან, რომლის ტერიტორიაზეცაა ისტორიული საქართველოს ნაწილი, დიალოგის საშუალებით უნდა მოგვარდეს. ამ დროში, როდესაც ჩვენ უკვე აღარ ვართ რუსეთის იმპერიის ნაწილი და ვართ დამოუკიდებელნი, ჩვენ მეორე დიდი მტერი სამხრეთის ფრთაზე არ უნდა გავიჩინოთ, ყველა ჩვენი მეზობელი, განსაკუთრებით, დიდი მეზობლები მტრებად არ უნდა ვაქციოთ. უნდა ვეცადოთ, ვინც ჩვენს ოკუპანტად იქცა, ჩვენსკენ შემოვატრიალოთ დიპლომატიის საფუძველზე.

ცნობისთვის, თურქებმა აია სოფიას ტაძარი უკვე გადააკეთეს მეჩეთად. მედიის ცნობით, აია სოფიას ტაძარი შეინარჩუნებს ქრისტიანულ ხატებს, თუმცა იქ ისეთი განათება დამონტაჟდება, რომლითაც ქრისტიანული მოზაიკები და ფრესკები ნამაზის დროს არ გამოჩნდება.

მანანა ნოზაძე

ტიხანოვსკაიას საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე ელიან

ბელარუსის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი სვეტლანა ტიხანოვსკაია გაეროს უშიშროების საბჭოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომებზე სიტყვით გამოვა.

„დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლა 4 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭოსა და 8 სექტემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე. ამ სხდომებზე სიტყვით გამოსვლისას სვეტლანა ტიხანოვსკაია ბელარუსში შექმნილ სიტუაციასა და ხალხის მოთხოვნაზე ისაუბრებს: „ლუკაშენკო უნდა წავიდეს, პოლიტპატიმრები და დაკავებულები კი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ“, — განაცხადეს ტიხანოვსკაიას პრესსამსახურში. ოპოზიციონერი კანდიდატი აღნიშნულ სხდომებს ვიდეოკონფერენციის რეჟიმში დაესწრება.

პირველად ისტორიაში

ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების ფარგლებში დავიდ ბენ-გურიონის აეროპორტიდან აბუ-დაბიში ამერიკულ-ისრაელური დელეგაცია გაემგზავრა.

დელეგაციის წევრებს შორის არიან ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი მეირ ბენ-შაბათი, ეროვნული უსაფრთხოებიოს საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი რობერტ ობრაიენი და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი და სიძე ჯარედ კუშნერი. 13 აგვისტოს ისრაელი და არაბთა გაერთიანებული საამიროები ურთიერთობების სრულ ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ. არაბთა გაერთიანებული საამიროები გახდა მესამე არაბული ქვეყანა, რომელმაც ისრაელთან მშვიდობიანი შეთანხმება გააფორმა. პირველი — 1979 წელს ეგვიპტე, მეორე კი 1994 წელს იორდანია იყო. 29 აგვისტოს არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ისრაელის წინააღმდეგ 1972 წელს დაწესებული ეკონომიკური ბოიკოტი გააუქმეს.

შტურმი რაიხსტაგზე

გერმანელი ლიდერები კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების მოწინააღმდეგეთა აქციის მონაწილეთა რაიხსტაგში შეღწევის მცდელობას მწვავედ აკრიტიკებენ.

მაღალი რანგის პოლიტიკოსები აღშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ასეულობით ადამიანმა ბერლინში, პარლამენტის ისტორიულ შენობაში, რაიხსტაგში შტურმით შეჭრა სცადა. გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი აცხადებს, რომ ეს იყო „შეუწყნარებელი შეტევა დემოკრატიის გულზე“. შტაინმაიერმა აქტივისტებს „მემარჯვენე ექსტრემისტთა ბრბო“ უწოდა.

შემთხვევის შესახებ გაზეთ Bild-თან ისაუბრა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰორსტზეეჰოფერმა და განაცხადა, რომ რაიხსტაგის შენობა პარლამენტის ადგილსამყოფელია და შესაბამისად — ლიბერალური დემოკრატიის სიმბოლური ცენტრი. **„ფაქტი, რომ ქაოსის წამომწყებები და ექსტრემისტები მას საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ, მიუღებელია“,** — აღნიშნა მან.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა კი Twitter-ზე დაწერა: **„სამარცხვინოა პარლამენტის შენობის წინ რაიხის დროშების დანახვა“.** ბერლინში, COVID19-თან დაკავშირებული შეზღუდვების საწინააღმდეგო აქციებზე სხვადასხვა ადგილას სულ 300 ადამიანი დააკავეს.

რუსეთში ნავალნის მოწამვლა გააპროტესტეს

რუსეთის ქალაქ ხაბაროვსკში ათასობით ადამიანი ქუჩაში საპროტესტოდ გამოვიდა. ისინი ვლადიმერ პუტინის მმართველობასა და მისი მთავარი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის სავარაუდო მოწამვლას აპროტესტებენ.

„პუტინო, ჩაი დალიე“, — ეს იყო რუსეთის მოქალაქეების მთავარი საპროტესტო ლოზუნგი.

შეგახსენებთ, ნავალნი კომატოზურ მდგომარეობაში სწორედ ჩაის დალევის შემდეგ ჩავარდა, როდესაც მოსკოვიდან ციმბირის ქალაქ ომსკში მიფრინავდა.

თუკი კაცს ძალიან შია...

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა ანა პრესლიმ, მაღაზიებში სურსათის... მოპარვაზე პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების წინადადება წამოაყენა.

ოღონდ, კანონპროექტის ავტორის იდეით, ეს შეღავათი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს, როცა ამ სახეობის საქონლის უფულოდ და უნებართვოდ ამღები პირი დაამტკიცებს, რომ „მოპარული სურსათი მისთვის სასიცოცხლოდ საჭირო იყო“.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის კავშირმა კონგრესმენს მხარი დაუჭირა. გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ეს რეგულაცია „კანონს ყველასთვის ერთიანს და უფრო ჰუმანურს გახდის, თანაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა ცხოვრებასაც შეამსუბუქებს. გარდა ამისა, ციხეების განტვირთვასაც შეუწყობს ხელს. თუმცა კი ისიცაა, რომ ამერიკაში ამ ინიციატივას ყველანი მხარს არ უჭერენ — ქურდობის ლეგალიზება ჯერ არც ერთ შტატში არ მომხდარა.

აუცილებელია სკრინინგი!

ტანმაღალი ადამიანები გულის რიტმის დარღვევისადმი მიდრეკილნი არიან.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ საშუალოზე (170 სანტიმეტრი) მეტი სიმაღლე ყოველ 10 სანტიმეტრზე მოციმციმე არითმიის განვითარების რისკს 3 პროცენტით ზრდის. ექიმები მიიჩნევენ, რომ ტანმაღალმა ადამიანებმა რეგულარულად უნდა გაიარონ ამ სნეულების გამოსავლენი სკრინინგები, რომელიც ზრდის ინსულტის განვითარების ალბათობას.

დამცველი ყავა

ყავა ასაკის საწინააღმდეგო იდეალურ სასმელად აღიარეს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ კოფეინი ამცირებს ასაკობრივ კოგნიტიურ (გონებრივ) დარღვევათა წარმოშობის რისკს და თავის ტვინის აქტიური დაბერების შენელების საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, ყავის ყოველდღიური მოხმარება თირკმლებში კენჭების წარმოქმნას უშლის ხელს, აგრეთვე სხვა მიზეზებით გარდაცვალების რისკსაც ამცირებს.

თუ გონება სნეულადაა...

ბიპოლარული აფექტური აშლილობა, რომელსაც ადრე მანიაკალურ დეპრესიულ ფსიქოზს უწოდებდნენ, ძალიან სერიოზული ფსიქიკური დაავადებაა.

ამ სნეულების დროს ეიფორიისა და ძალთა მოზღვავების პერიოდები სრული უძლურების შეგრძნების შეტევებს ენაცვლება. აღმაფრენის დროს ადამიანს სრულიად არაადეკვატური საქციელების ჩადენა შეუძლია — მაგალითად, არასაჭირო ნივთების ყიდვა, ავიზო კრედიტის აღება, შორეულ მოგზაურობაში წასვლა, სარწმუნოების შეცვლა, ანდა იმის წარმოდგენა, რომ ბეტმენივით სახურავებზე ხტუნვა შეუძლია.

„ვარსკვლავური ომების“ ვარსკვლავი, აწ განსვენებული **კერი ფიშერი** (იგი უფლისწულის როლს ასრულებს) ალკოჰოლიკი და ნარკომანი იყო, რასაც ჰიპოლარული აფექტური აშლილობაც დაემატა. ერთ-ერთი მძიმე შეტევის დროს მან სვირინგი გაიკეთა და... უიდაიზმი მიიღო, თუმცა მანამდე ამის თაობაზე არანაირი მინიშნებაც კი არ ჰქონია. საგულისხმოა, რომ ამავე სნეულებით შეპყრობილები იყვნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან, მაგალითად, **ვინსენტ ვან გოგი, უინსტონ ჩერჩილი, ვივიენ ლი, ჟან-კლოდ ვან დამი, ქეთრინ ზეტა-ჯონსი, მერაია ქერი,** სხვები.

სასარგებლო უსაქმურობა

ამერიკელი მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ უსაქმურობა თავის ტვინისთვის სასარგებლო ყოფილა.



თუკი კაცი არაფერს აკეთებს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ტვინიც არ მუშაობს, პირიქით, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სწორედ უსაქმურობის დროს ადამიანებს თავში გენიალური, ინოვაციური აზრები მოსდით. ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ დასვენების დროს თავის ტვინში მანამდე მომხდარ მოვლენათა დეტალური ანალიზი მომდინარეობს, რომელიც ხელს უწყობს გონებრივ აქტივობას და მას უფრო პროდუქტიულს ხდის.

მეცნიერთა განცხადებით თანამედროვე სოციალური კულტურა დიდ შრომისუნარიანობას წარმატების აუცილებელ წინაპირობად წარმოაჩენს, სიღარიბეს კი, ჩვეულებრივ, სიზარმაცეს უკავშირებს. არადა, თავის ტვინისთვის გაცილებით უკეთესია, რომ ადამიანი შიგადაშიგ უსაქმურობდეს.

გენების ბრალი ყოფილა

მეცნიერებმა ახლომხედველობის გენი აღმოაჩინეს. მოიპიის (ანუ ახლომხედველობის) მქონე 700 ათასი კაცის გენეტიკური განსხვავებების შესწავლის შედეგად, მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ახლომხედველობის ჩამოყალიბება, შესაძლოა, გენების ბრალი იყოს.

ამდენად, გენეტიკური ტესტი ექიმებს მოიპიისკენ მიდრეკილი ბავშვების გამოვლენაში დაეხმარება, რაც საშუალებას მისცემს დანიშნონ მისი განვითარების შემნელებელი მკურნალობა.

თუ გლუვი კანის ქონა გინდათ...

კინოფილმების ხშირი ცქერა დაბერებას აჩქარებს. ექსპერტებმა სხვადასხვა ფილმებზე მაყურებელთა რეაქცია შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ თრილერების ცქერისას სახის გამომეტყველება საშუალოდ დაახლოებით 50-ჯერ იცვლება.

აქტიური მიმიკა კი სახის კანს აუარესებს, ნაოჭების წარმოშობასა და მათ დაღარულობას ზრდის. ათი წლის მანძილზე კინომანების სახე შეიძლება 40 პროცენტით დაბერდეს.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

მაჩაბელა და გაბრიელ მაიორი

„...იყო ერთი წარჩინებული მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა“ ანუ ტფილისური დაფდაფი და ქოსნაღარი

რუბრიკის ერთ-ერთ თავში ნაღარხანა გიხსენეთ, რომელიც ჩვენი თბილის-ქალაქის ყველაზე ხმაურიანი ადგილი გახლდათ ერთ დროს. გემახსოვრებათ, სწორედ ნაღარხანაში უკრავდნენ „დილასა და საღამოს-დაფდაფებს და ქოსნაღარსა“ და ალბათ ხვდებით, თეატრალურ ტფილისზე მინდა გიამბოთ დღეს.

თავდაპირველად გეტვით, რომ საქართველოში თეატრალური წარმოდგენები ჩვენს წელთაღრიცხვამდე იმართებოდა თურმე, რა დროსაც ეწყობოდა სხვადასხვა სახის სანახაობები. დროთა განმავლობაში, წარმოდგენებს შეემატა ცეკვისა და მუსიკის ელემენტები და რა თქმა უნდა, კოსტუმები და ნიღბები. წარმოდგენები, რომელსაც უბრალო ხალხი უბრალო ხალხშივე მართავდა, დროთა განმავლობაში გამდიდრებულა, დახვეწილა და სახალხო თეატრალურ დღესასწაულადაც გადაქცეულა და ასე გაჩნდნენ საქართველოში ბერიკები და „ბერიკაობა“, ყეენი და „ყეენობა“...

რაც შეეხება ჩვენი თბილის-ქალაქის თეატრალურ ცხოვრებას □ XVIII საუკუნის მიწურულს ტფილისის არისტოკრატიამ ლიტერატურული სალონები საკუთარ სახლებში მოიწყო. სალონებშივე დგამდნენ პირველ სპექტაკლებს ქართველი დრამატურგები, მაგრამ ამ ისტორიებზე მოგვიანებით მოგითხრობთ, რადესაც „აზიატსკაია ჩასტ“ ტიფლისიდან ავუყვებით „გოლოვინსკის“ პროსპექტს (რუსთაველის პროსპექტი) და „არტისტული საზოგადოების“ დაარსების ისტორიასაც იქ გიამბობთ.

მანამდე კი ისევ ერეკლე II-ის მეფობის ხანაში დაგაბრუნებთ, რა დროსაც სამეფო კარზე სანახაობებს მართავდა ცნობილი მაჩაბელა და აქვე მართავდა წარმოდგენებს გაბრიელ მაიორი დაფდაფით და ქოსნაღარით.

ჰო და მოით, მოგითხროთ ორიოდ სიტყვით მაჩაბელასა და გაბრიელ მაიორზე — **„...იყო ერთი წარჩინებული მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი და ესე იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა... გვარეულებითა და სარწმუნოებითა ქართველი, რომელსაცა სახელსა სდებენ მაჩაბელად“** — თეიმურაზ ბატონიშვილი (პეტერბურღის აკადემია ნაუკისაგან პოჩეტნი

ჩლენათ მიღებული (გიორგი XII-ის ძე).

მაჩაბელას სახელი და გვარი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ დაბალი ფენებიდან გამოსული მაჩაბელა, თავისი ოსტატობის წყალობით, სამეფო კარზე ცნობილი პიროვნება გამხდარა და ტფილისის თეატრის „მსახიობთა უფროსობაც“ უბოძებიათ მისთვის.

1795 წელს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს, ტფილისის მცხოვრებლებმა შეიარაღებული რაზმი შეჰქმნეს, სათავეში მაჩაბელა ჩაიყენეს და ბრძოლის ველზე გაეშურნენ. მაჩაბელა „შადიანის“ სიმღერით (სალხინო სიმღერა), დაირაზე დაკვრით წინ გაუძღვა ტფილისელ, ქიზიყელ და 300 არაგველთა რაზმს და...

...და სიკვდილსაც სალხინოს მღერით შეხვედრია კრწანისის ველზე, იმ ავბედით დღეს...

გაბრიელ მაიორიც მსახიობი გახლდათ, რომელიც ერეკლე II-ის მიერ წარგზავნილ ელჩს ახლდა რუსეთში და საარტილერიო საქმე იქ შეუსწავლია. სამშობლოში მაიორის ჩინით დაბრუნებულა და ჯარში მსახურობაც დაუწყია, პარალელურად კი პიესებს წერდა, თავადვე დგამდა და თავად მონაწილეობდა. ამბობენ, მისი სპექტაკლები ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, მაგრამ...

...ისევ 11 სექტემბერი ...და გაბრიელ მაიორიც გმირულად დაღუპულა ტფილისის დაცვისას, იმ ავბედით დღეს...

ოი! სოფელო, პირდამყოფელო!
ოი, დრკუო, ცრუო, ოი, მრუდო, ცუდო!
ოი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!
ჰაი, ჰაი, გიცან, ოი, ეშმაკო ზღუდო!

(გესიეი).

◎ რაგბი

იმედია, საბოლოო...

უკვე გაუწყეთ, რომ ექვსი ერის რვა ერად ტრანსფორმირების შემდეგ სარაგბო ელიტაში „ბორჯღალოსანთა“ აღზევების შანსები შესამჩნევად გაიზარდა.

მართლაც, მალევე გავრცელდა ჩვენთვის მართლაც ისტორიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რეიტინგით საქართველოზე წინ მყოფი იაპონია კორონავირუსის პანდემიის გამო თავს იკავებდა უაღრესად პრესტიჟულ ტურნირში სათამაშოდ ევროპაში 14 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით ჩამოსვლისგან.

მოგვიანებით მოვლენები უკვე ქართველთათვის არასასურველი სცენარით განვითარდა და თითქოს „საკურები“ თანახმანი იყვნენ კუთვნილი

უფლებით ესარგებლათ, რაც ჩვენთვის კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენას ნიშნავდა.

და აი, ამ დღეებში ავტორიტეტულმა გამოცემებმა ვაკანტური მერვე პოზიცია ისევ „ბორჯღალოსნებს“ არგუნეს. მიზეზი იგივეა — „ამომავალი მზის ქვეყნის“ ნაკრები ამჯერადაც კორონაპანდემიის გამო უარობს რჩეულთა ბატალიებში მონაწილეობას, სადაც ჯგუფში ჩვენი მეტოქეები საფრანგეთი, იტალია და შოტლანდია იქნებიან შეგახსენებთ, რომ სქოთებს 24 ოქტომბერს ტესტ-მატჩშიც ვეწვევით. ვიმედოვნებთ, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა, მანამდე კი, იქნებ, ქართულ სარაგბო თემშიც დალაგდეს ვითარება და, ბოლოს და ბოლოს, კავშირის პრეზიდენტიც აირჩიონ, რომელიც როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო სატკივარის სამკურნალოდ იზრუნებს.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ამასაც მოვესწარით

ვინ იფიქრებდა, რომ კონტინენტის პოპულარულ საკლუბო ტურნირებზე ჩვენი გუნდების ყველა მეტოქეს, მათ შორის კვიპროსის(!) წარმომადგენელსაც კი ფავორიტის სტატუსი ექნებოდა მინიჭებული.

არადა, სწორედ მასეა საქმე და ევროპალიგის შეხვედრების უმეტესობაც ადასტურებს აღნიშნული როლის მოკუთვნების საფუძვლიანობას.

მაგალითად, საქართველოს ექს-ჩემპიონი „საბურთალო“ ნიქოზიაში ლიმასოლის „აპოლონთან“ განადგურდა — 1:5, ხოლო წლევანდელი „კრისტალ-ბეთ“ ეროვნული ლიგის ერთ-ერთი ლიდერი „ბათუმი“ ისრაელში ბერშევას „ჰაპოელთან“ შერცხვა — 0:3.

ამ ფონზე ნამუსი თბილისის „ლოკომოტივმა“ მოგვწმინდა, რომელმაც რეალობად აქცია ახალი მთავარი მწვრთნელის გიორგი ჭიაბრიშვილის ტაქტიკური მონახაზი და „მიხეილ მესხის“ სტადიონზე რუმინეთის ქალაქ კრაიოვას „უნივერსიტატიას“ 2:1 სძლია (გოლები სტუმრებს სიხარულიძემ და ომარმა გაუტანეს).

როგორც მოგეხსენებათ, ამავე ტურნირზე ჩამოალაბორანტეს ჩემპიონთა ლიგიდან უთავმოყვარეოდ გამოპანღურებული დედაქალაქის „დინამო“, რომელიც შელახული ავტორიტეტის აღდგენას ასევე ახალი დამრიგებლის — ესპანელი ჩისკო მუნიოსის თავკაცობით შეეცდება. თუმცა, ხომ გსმენიათ, სახელის გატეხვას რომ თავის გატეხვა სჯობია. ხოდა, ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდება რეაბილიტაცია.

გუშინ გამართულმა წილისყრამ ქართული კლუბების მეტოქეებად 17 სექტემბერს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაასახელა:

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (მოსკოვი),
„ნომანდსი“ (უელსი) — „დინამო“ (თბილისი).

გიორგი ზოთაძე

◎ აშკარა, დაუჯერებელი

ჩვენი კოლეგის მეორედ დაბადება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ცნობილი ჟურნალისტის გვანჯი მანიას შექმნილი გინესის რეკორდების კლუბი „გიორგი“, რომელშიც სხვადასხვა პროფილის არაერთი ჩვენი ღირსეული თანამემამულეა გაერთიანებული.

იგი შედარებით მოგვიანებით — გასული საუკუნის 90-იან წლებში დაფუძნდა, თორემ, დარწმუნებულნი ვართ, მის წევრობაზე სავსებით საფუძვლიანი პრეტენზია ექნებოდა ჩვენს ამბროლაურელ კოლეგას, ადგილობრივი გაზეთის რედაქციის თანამშრომელს **იური კობახიძეს**.

ყოფილი მოჭიდავე და სიბერეგამწარებული შვილმკვდარი მამა რამდენიმე თვის წინათ გახდა უკვდავების ბინადარი. შემოთავაზებული წერილით სწორედ მის ნათელ ხსოვნას გვსურს შევუთვალოთ შენდობა და კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ადამიანის შესაძლებლობები მართლაც რომ ამოუწურავია.

მაშ ასე, 1975 წლის 6 აგვისტოს დილა. კობახიძეების ოჯახი ზაფხულში რაჭაში სტუმრად ჩასულ ნათესავებთან ერთად სასაუზმოდ ემზადება.

— თქვენ დაიწყეთ, მე ნუ დამელოდებით და მალე შემოგიერთდებითო, ბრძანა მასპინძელმა, ზურგზე სპეციალური მოწყობილობა მოიკიდა და ჭაში ჩავიდა, რომლის ამოშრობა-გაუქმებაც საკმაოდ მოძველებისა და მოსალოდნელი საფრთხის გამო გადაწყვიტა ბატონმა იურიმ.

დარჩენილი იყო წვივებამდე წყლის ამოსატუმბავი უკანასკნელი ცდა, რომელიც კინაღამ საბედისწეროდ დასრულდა — უცებ საკმაოდ მაღალი ჭის მოფამფალებულმა კედლებმა იქუხა და ქვა-ღორღის მასამ ქვეშ წელ-

სზემოთ შიშველი ვაჟკაცი მოიყოლა.

გადარჩენის შანსი თითქმის არ ჩანდა და სავარაუდო მსხვერპლი ზოგმა, მათ შორის მეორე ბიჭზე — დათოზე ფეხმძიმე მეუღლემ დეზდემონა მიქაუტიძემ, გამოიგლოვა კიდეც, მაგრამ მოხდა სასწაული — ყოფილმა სპორტსმენმა წარმოუდგენელი ფიზიკური ღონე გამოავლინა და 13(!) საათის განმავლობაში კეფით გაუმკლავდა უზარმაზარ ლოდს, რომელმაც, საბედნიეროდ, სივრცე გაჭედა და უკვე ნახსენები ქვა-ღორღის მასა შეაკავა.

ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაა სათქმელად ადვილი, რა ხდებოდა მთელი დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს საავტომობილო გზების რევიზორის ივანე კობახიძის ეზოში — მისი საამაყო ვაჟის გადასარჩენად მთელი რიგი რაიონებიდან შეიკრიბა ტექნიკა და მუშახელი. სწორედ ერთ-ერთი მათგანის — ტყიბულელი მეშახტის პორფილე კობახიძის რჩევით დაიწყეს სხვადასხვა პროფესიის მოხალისეებმა ქვების სათითაოდ ამოღება. ვიდრე კაცის ხსნის მინიმალური შანსი არსებობს, ნუ დავიზარებთო — განაცხადა ასაკოვანმა მოგვარემ, არადა, მანამდე განზრახული იყო საქმეში ექსკავატორის „კოვში“ ჩაერთოთ, რაც განსაცდელში ჩავარდნილის უცილობელ დაღუპვას გამოიწვევდა.

უნდა გენახათ, რა ემოციებმა ამოხეთქა მთელ ქალაქში, როცა ღამის პირველ საათზე უკვე საგრძნობლად შეთხელებული ქვის გროვა შეინძრა და ცოცხალი იური კობახიძე გამოჩნდა.

მას შემდეგ, ვიდრე უფროს ძეს, ყველასათვის საყვარელ ექიმს ვანიკო კობახიძეს დაკარგავდა, იგი თავის მეორე დაბადების დღედ 6 აგვისტოს აღნიშნავდა.

სხვათა შორის, მაშინდელი არაორდინარული შემთხვევა ვრცლად გააშუქა გაზეთმა „კომუნისტმა“.

გია პლატონიშვილი

◎ ოკეანის გაღმა

უკვდავი ინტრიგა

მართალია, „ინდიანას“ ქართველმა ლეგიონერმა გოგა ბითაძემ ნბა-ში სადებიუტო სეზონი „მაიამისთან“ კრახის — 0:4 შემდეგ პლეი-ოფის ადრეულ ეტაპზევე დაასრულა, მაგრამ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, როგორც თავად ოკეანისგაღმელები უწოდებენ იქაურ სუპერტურნირს, კორონავირუსის პანდემიის გამო, მხოლოდ ორლანდოში გრძელდება და მრავალ საინტერესოს გვპირდება.

უპირველესად ისაა სათქმელი, რომ უპრობლემოდ წაიწიეს წინ წლევანდელი გათამაშების უმთავრესმა ფავორიტებმა.

კერძოდ, რეგულარულის გამარჯვებულმა „მილუოკიმ“ სასტარტო შეხვედრაში წაფორხილების შემდეგ დაჭრილი დათვივით იბრძოლა და ზედიზედ ოთხ თამაშში დატორა მასპინძელი „მეჯიქი“, რამაც, შესაბამისად სერიაც მოაგებინა — 4:1. ტრადიციისამებრ, „ბაქსის“ წარმატებაში ლომის წილი ანტეტოკუნმპომ და მიდლტონმა დაიდეს, თანაც, ფერადკანიანი ბერძენი ორივე ფარქვეშ ბატონობდა და პერიმეტრიდანაც შედეგიანად ბომბავდა სამქულიანებით მეტოქის კალათს.

ასეთივე შედეგით — 4:1 დამთავრდა „ლოს ანჟელეს ლეიკერსისა“ და „პორტლენდის“ ხუთმატჩიანი დუელი და ძნელი სათქმელია, ვინ მოახერხებს მომავალ რაუნდებში კალიფორნიელთა ზღაპრული დამრტყმელი დუეტის — ლებრონ ჯეიმსი — ენტონი დევისი — შეჩერებას.

დრამატულად ვითარდება მოვლენები „ჰიუსტონისა“ და „ოკლაჰომას“ წყვილში, სადაც საკულტო ფიგურის — ჰარდენის ჩვეული ძალისხმევით „როკეტსი“ 3:2 დაწინაურდა და კონფერენციის ფინალს ერთი გასროლაღა აშორებს.

„დენვერი“ — „იუტა“ 119:107 (3:3),
„დალასი“ — „კლიპერსი“ 97:111 (2:4).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დაბრუნება

„ეფრინავი ჰოლანდიელის“ ნაკვალევზე

მოგეხსენებათ, ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა, როგორც მოთამაშემ, სამშობლოს ნოვატორი თავკაცის — რინუს მიხელსის ტაქტიკური პირმშოს — ტოტალური ფეხბურთის საგალობელი დაუტოვა, ხოლო მოგვიანებით, როგორც მწვრთნელმა, „ბარსელონაშიც“ განაგრძო რეფორმატორული მოღვაწეობა და კატალონიურ გრანდში სრულიად ახალი საფეხბურთო ფილოსოფია შექმნა, რომლის დამკვიდრებაშიც სოლიდური წვლილი მისმა საამაყო თანამემამულემ რონალდ კუმანმა შეიტანა.

ყუმბარისებური დარტყმებით გამორჩეული ეს დაცვის ბურჯი დიდი წარმატებით ერთვებოდა შეტევებში და ლოგიკურია, „ბლაუგრანას“ ისტორიული გოლი მის სახელს რომ უკავშირდება, რომელმაც აღნიშნულ ამბიციურ კლუბს პირველად მოაგებინა ჩემპიონთა თასი.

მეტიც — წლევანდელ სეზონამდე ნიდერლანდელი ვარსკვლავი ლა ლიგის ყველა დროის ყველაზე შედეგიან მცველად ითვლებოდა და ეს სტატუსი სერხიო რამოსმა სულ ახლახან ჩამოართვა.

და აი, ნაცნობ გარემოში კრიტიკულ ვითარებაში დაბრუნებული წითური ბენილუქსელის მორიგი გამოწვევა — თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის მიუხედავად, შექმნას ახალი გუნდი, რომელიც დაკარგულ პოზიციებსა და შელახულ ავტორიტეტს დაიბრუნებს.

მესი, სუარესი, ბუსკეტსი, ალბა — ეს მხოლოდ მცირე ჩემონათვალია იმ კორიფეებისა, ვისაც თვალი გაქცევაზე უჭირავს ან საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ უთითებენ კარისაკენ.

დაგვეთანხმებით, მათი ღირსეულად შეცვლა ურთულესი ამოცანა იქნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც ხომ ფაქტია, რომ შეუცვლელი არავინაა და, ადრე თუ გვიან, მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი მემკვიდრე ყველას მოეძებნება.

ბოლოსდაბოლოს, „ბარსელონამ“ თვით კრუიფთან, მარადონასთან, ფიგუსთან, რივალდოსთან, სიმონსენთან, კრანკლთან, რომარიოსთან, სტოიჩკოვთან, ლაუდრუპთან და სხვა საკულტო ფიგურებთან გამოთხოვება გადაიტანა, რომლებმაც „კამპ ნოუზე“ ეპოქა შექმნეს.

მანუჩარ გიორგაძე

სასწავლო პროცესი ბაგა-ბაღებში:

რა წესები უნდა დავიცვათ პანდემიის პირობებში?

რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც სკოლამდელი დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესს 1 ოქტომბრიდან განაახლებენ, უკვე დამტკიცებულია.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით:

1. საბავშვო ბაგა-ბაღებში მშობლების შესვლა-გამოსვლა აიკრძალება. ასევე, მშობელი ვალდებულია ბავშვის ბაღიდან გამოყვანისას წინასწარ დაუკავშირდეს ადმინისტრაციას და ითხოვოს, ბავშვი ბაღის შესასვლელთან გაუყვანონ.

2. აკრძალულია სათამაშოების სახლიდან წაღება.

3. იზღუდება ისეთი სათამაშოების გამოყენება, რომელიც მარტივად არ ექვემდებარება დეზინფექციას.

4. იკრძალება ისეთი სათამაშოს გამოყენება, რომლის დეზინფექცია არის რთულად განსახორციელებელი.

5. სათამაშოების რეცხვა უნდა განხორციელდეს 37 გრადუსზე და გაშრობაც, როგორ უნდა განხორციელდეს, დეტალურად იქნება გაწერილი.

6. სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე, ადმინისტრაციული პერსონალი - ძიძები - გადამზადდება.

7. სასწავლო მასალაში შევა ახალი თამაშები, რომელიც მიმართული იქნება იმ საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, რომელიც კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის არის გაწერილი. ეს შეიძლება იყოს, როგორ დავაცემინოთ ისე, რომ სხვები არ დავაზიანოთ, უკონტაქტო მისალმების ხერხები, როგორიც არის ჟესტებით მისალმება და ასე შემდეგ.

8. პროტოკოლში გაწერილია სადეზინფექციო სამუშაოები და თეთრეულის მართვის სტანდარტებიც.

9.უნდა მოხდეს გრაფიკის შედგენა, რომ ბავშვების რაოდენობა დაბალანსებული იყოს თითოეულ ჯგუფში.

10. ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები. ჭურჭლის მანქანით რეცხვისას უნდა ხდებოდეს შესაბამისი მანქანა-დანადგარის გამოყენება 65 გრადუსზე.

11. უნდა იყოს საიზოლაციო ოთახი იმ შემთხვევაში, თუ დღის განმავლობაში რომელიმე ბავშვს, ადმინისტრაციის თანამშრომელს დაუფიქსირდება ტემპერატურა. შეგახსენებთ, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ცნობით, სკოლები და კინოთეატრები 15 სექტემბრიდან, ბაგა-ბაღები და თეატრები კი, 1 ოქტომბრიდან გაიხსნება.

გვექნება კიდევ ერთი საფეხბურთო ცენტრი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დიდ დიღომში კიდევ ერთი საფეხბურთო ცენტრის მშენებლობას იწყებს. დიდ დიღომში დემეტრე თავდადებულის №14-ის მიმდებარე ტერიტორია სფფ-ს სახელმწიფოსგან საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობის ვალდებულებით გადმოეცა.

პროექტის ფარგლებში, ადგილზე დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული ზომის მოედნის მშენებლობა, განათებით, ტრიბუნით და ადმინისტრაციული შენობით.

პროექტის საერთო ღირებულება 2 მილიონ ლარზე მეტია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და FIFA-ს პროგრამა ფორვარდის თანადაფინანსებით განხორციელდება. მშენებლობა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება და მისი დასრულება 2021 წლის შემოდგომაზე იგეგმება. საფეხბურთო ცენტრით სარგებლობას სრულიად უფასოდ შეძლებენ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლები, მოყვარულთა და ქალთა კლუბები. ტექნიკური ცენტრის მოვლა-პატრონობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი საფეხბურთო ცენტრი უკვე ფუნქციონირებს ვარკეთილში, გლდანში, ვაკეში. ფოთში კი მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიხსნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გეგმის მიხედვით საფეხბურთო ცენტრები თბილისის რამდენიმე უბანში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნდა მოეწყოს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა ფშაველას ქ. №48 599 79-76-79; 568 82-09-84

სექტემბრიდან პენსიების გაცემის წესი შეიცვალა

საქართველოს მთავრობისა და „ლიბერთი ბანკის“ ერთობლივი ინიციატივით, სექტემბრიდან პენსიის გაცემის წესი იცვლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველი თვის 14 რიცხვის ნაცვლად, საპენსიო თანხები პენსიის მიმღები პირების ანგარიშებზე ჩაირიცხება წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ყოველი თვის 1-ლიდან 14 რიცხვამდე, ერთ კონკრეტულ თარიღში და მომავალშიც ამ თარიღში გააგრძელებენ პენსიის მიღებას.

„ლიბერთი ბანკის“ ინფორმაციით, ამ ინიციატივის მთავარი მიზანია, გადანაწილდეს ასაკოვანი მოქალაქეების ნაკადი პენსიის ჩარიცხვის თარიღებში, იმისათვის, რომ მათ მიიღონ საბანკო მომსახურება კიდევ უფრო კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში. მათივე თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეების დაცვა პანდემიის პერიოდში ვირუსით დაინფიცირების მომატებული საფრთხეებისგან.

„შესაბამისად, 1 სექტემბრიდან პენსიის მიმღებ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს პენსია ჩაერიცხება საკუთარ ანგარიშზე ყოველ თვეს ერთსა და იმავე თარიღში. ინდივიდუალური თარიღის გაგება შესაძლებელი იქნება ვებგვერდზე www.myliberty.ge, ლიბერთის ნებისმიერ ბანკომატსა და სწრაფი გადახდის აპარატის საშუალებით, ცხელ ხაზზე 032 255 55 00 ან ლიბერთის ნებისმიერ სერვის ცენტრში.

რაც შეეხება რეგიონებსა და სოფლებს, სადაც არ არის ლიბერთის სერვის ცენტრები, ყოველი თვის 14 რიცხვიდან ჩვენს მოქალაქეებს მოემსახურება ლიბერთი ექსპრესის მობილური ბანკი და შესაბამისი გრაფიკები ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივ თვითმმართველობებსა და გამგეობებში.

მაგალითად, თუ სექტემბერში პენსია ჩაირიცხა 3 რიცხვში, გაგძელდება ჩარიცხვა ყოველი თვის 3 რიცხვში, იმ შემთხვევაშიც კი თუ 3 რიცხვი ემთხვევა არა სამუშაო დღეს. პენსიის მიმღები მოქალაქეები სოციალურ ანგარიშზე ჩარიცხული თანხის განაღდებას, ან ბარათით გადახდებს შეძლებენ ჩარიცხვისთანავე. პენსიის თანხით სარგებლობა, როგორც განაღდება, ასევე ბარათით გადახდა შესაძლებელია ჩარიცხვის თარიღიდან ნებისმიერ დროს“.

„ამ ერთობლივი გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი ჩვენი მომხმარებლისთვის მაქსიმალურად კომფორტული და დაცული გარემოს შექმნა იყო. ასევე, გვინდა თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს შევთავაზოთ ღირსეული საბანკო მომსახურება და მეტი დრო დავუთმოთ მათთან ურთიერთობას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რიგების განტირთვა კონკრეტულ თარიღებში, ბანკის სერვის ცენტრებში ნაკადის ეფექტური გამტარობა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება. პანდემიის პერიოდში მივიღეთ ძალიან დიდი გამოცდილება, დავინახეთ ჩვენი მომხმარებლის მხრიდან მეტი მიმღებლობა სიახლეების, კერძოდ დისტანციური საბანკო არხების გამოყენებისა და ბარათით გადახდის მიმართულებით. ვიმედოვნებთ, რომ ამ სიახლესაც დადებითად შეაფასებენ როგორც ჩვენი მომხმარებლები, ასევე საზოგადოებაც“, — განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხოდელმა.

„შეგახსენებთ, პენსიის მიმღები პირები სოციალური ბარათით გადახდისას სარგებლობენ სპეციალური ფასდაკლებებითა და განსაკუთრებული შეთავაზებებით: 70%-მდე ფასდაკლება ევექსი კლინიკებში, 20%-მდე ფასდაკლება ფარმადეპოს აფთიაქების ქსელში და სპეციალური ფასები 350-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე ნიკორა სუპერმარკეტების ქსელში მთელი ქვეყნის მასშტაბით. სოციალურ ბარათზე დარიცხული პენსიის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სავაჭრო ობიექტსა და აფთიაქში — ყველგან, სადაც ბარათით გადახდა არის შესაძლებელი. სოციალური ბარათის მფლობელებისთვის ხელმისაწვდომია „ლიბერთის“ ინტერნეტ და მობაილ ბანკის სერვისები“, — აღნიშნულია ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლისის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მოზარდი შეეწირა

საქართველოს პროკურატურამ ლისის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით 23:00 საათზე, ლისის გზაზე მოძრავი საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, ქვეითად მოსიარულე 2008 წელს დაბადებულ მ.გ.-ს შეეჯახა, რომელიც ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

სარწყავ არხში ჩავარდნილი 35 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

გარდაბანში სოფელ ნაგებში მაშველებმა 35 წლის მამაკაცი სარწყავი არხიდან დამხრჩვალი ამოიყვანეს. ცხედარი რუსთავის პროზექტურაში გადაასვენეს. მამაკაცი მამასთან ერთად სათევზაოდ იყო წასული, რა დროსაც ის სარწყავ არხში ჩავარდა.

საქმე აღძრულია 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.

შსს-მ თბილისში ორი ნარკორეალიზატორი დააკავა

სამინისტრო ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული გ.ჰ. და 2001 წელს დაბადებული ლ.მ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენის, შენახვის, გასაღების და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაიკავეს.

დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ყველაზე ხანდაზმული წყვილი

110 წლის ეკვადორელი ხულიო სეზარ მორა და მისი ცოლი, 104 წლის ვალდამინა კინტეროსი მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ წყვილად აღიარეს და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდნენ.

მათ ერთმანეთი 1934 წელს გაიცნეს. მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და 6 წლის შემდეგ ფარულად იქორწინეს, რადგან მშობლები კატეგორიულად წინააღმდეგები იყვნენ. „ჩვენ არასდროს დავშორებულვართ. მსგავსი რამ თავშიც არ მოგვსვლია. ყოველთვის სიმართლე უნდა თქვათ, არასდროს მოიტყუოთ“- ამბობს ქალი.

რეკორდსმენ წყვილს 5 შვილი, 11 შვილიშვილი, 21 შვილთაშვილი და 9 შვილთაშვილის შვილი ჰყავს.

ჯონ ლენონის მკვლელი ციხეში რჩება



მარკ დევიდ ჩეპმენს, რომელმაც 1980 წელს ჯგუფ „ბითლზის“ წევრი ჯონ ლენონი მოკლა, ვადამდე გათავისუფლებაზე უარი მეთერთმეტედ ეთქვა.

ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნა კი სასამართლომ მიმდინარე 19 აგვისტოს განიხილა. ნიუ-იორკის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 65 წლის ჩეპმენი პატიმრობაში კიდევ სულ მცირე 2 წელს გაატარებს, ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას კი მხოლოდ 2022 წლის აგვისტოში მიიღებს.

ჩეპმენმა ლენონი 1980 წლის 8 დეკემბერს ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მოკლა, როდესაც მუსიკოსი და მისი ცოლი იოკო ონო სტუდიიდან სახლში ბრუნდებოდნენ. ჩემპენი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და მან დანაშაული აღიარა.

დედამიწას ასტეროიდი ჩაუფრენს

დედამიწას ასტეროიდი ჩაუფრენს – ინფორმაციას ნასა ავრცელებს. ციური სხეული, რომლის დიამეტრი 22-დან 49 მეტრამდეა, პლანეტას დაახლოებით 120 ათასი კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდება. ეს მანძილი 3-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე დედამიწიდან მთვარემდე (384 000).

მისი ფრენის სიჩქარე იქნება 8,16 კილომეტრი წამში.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ლონდონში პრინცესა დიანას ქანდაკებას დადგამენ

უელსის პრინცესა დიანას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლონდონში მის ქანდაკებას დადგამენ. ინფორმაციას კენსიგტონის სასახლის განცხადებაზე დაყრდნობით BBC ავრცელებს. გავრცელებული ცნობით, პრინცესას ქანდაკების დამზადება მისმა შვილებმა – კემბრიჯის ჰერცოგმა უილიამმა და სასექსის ჰერცოგმა ჰარიმ 2017 წელს შეუკვეთეს.

პრინცესა დიანას ქანდაკებას კენსინგტონის სასახლის ბაღებში 2021 წლის 1 ივლისს აღმართავენ. კენსინგტონის სასახლის განცხადებით, ქანდაკების დადგმა უფრო ადრე იყო განზრახული, თუმცა ამას კორონავირუსის პანდემიამ ხელი შეუშალა.

უელსის პრინცესა 23 წლის წინ, 1997 წელს 36 წლის ასაკში ტრაგიკულად ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

სიზმარმა გაამდიდრა

აშშ-ში, ონტარიოელმა ქალმა, რომელმაც 750 000 $-ის ოდენობის ჯეკპოტი მოიგო, ლატარიის კომპანიის ხელმძღვანელ პირებს განუცხადა, რომ მან იღბლიანი რიცხვები თავის სიზმარში ნახა.

64 წლის დებორა როუზმა ლატარიის კომპანიასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან თავისი ლატარიის ბილეთის ყიდვისას გადაწყვიტა, ისევ ის რიცხვები ჩაეწერა, რომელიც რამდენიმე წლის წინ სიზმარში ნახა. ამჯერად მისი მორიგი ცდა წარმატებული აღმოჩნდა. როუზის თქმით, იმ დღეს როდესაც ბილეთის რიცხვებს ამოწმებდა, ძალზე ცუდი დღე ჰქონდა, თუმცა მისი განწყობა უმალვე შეიცვალა მას შემდეგ, რაც იგი 750 000 $-ის მფლობელი გახდა.

ლატარიის იღბლიანი მოთამაშის განცხადებით, იგი თავის მოგებას შვილებს გაუნაწილებს და აგრეთვე მოგზაურობისთვის დახარჯავს.

იაპონიაში მფრინავი მანქანა წარადგინეს

იაპონურმა კომპანიამ წარმოადგინა მფრინავი მანქანის პირველი პროტოტიპი. აღნიშნული პრეზენტაციის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელ YOUTUBE-ზე გამოაქვეყნეს. გავრცელებული ინფორმაციით, მანქანის ტესტირება შედგა TOYOTA-ს საცდელ ბაზაზე, ტოკიოში..

ერთადგილიანი მფრინავი მანქანა, რომელიც ვერტიკალური აფრენა-დაფრენის ყველაზე პატარა საფრენ აპარატად ითვლება, 4 წუთის განმავლობაში დაფრინავდა ჰაერში.

ზემოხსენებული სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ოთხი პროპელერი აქვს მიმაგრებული, მოტოციკლეტს ჰგავს. სწორედ პროპელერები ანიჭებს მას ფრენისა და გამწევ ძალას. მფრინავი მანქანა, SD-03-ის მოდელი ამჟამად დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ახერხებს ჰაერში ფრენას. კომპანიის განცხადებით, ისინი აპირებენ, რომ მფრინავი აპარატის მოქმედების ხანგრძლივობა 30 წუთამდე გაზარდონ.



აღნიშნული მანქანის დამპროექტებელ კომპანია SKYDRIVE-ში აცხადებენ, რომ მფრინავი სატრანსპორტო ავტომობილი კომერციულად ხელმისაწვდომი 2023 წლიდან იქნება ბაზარზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 3 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0696; ევრო - 3.6243;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0500;
100 რუბლი - 4.0769; თურქული ლირა - 0.4174;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8069;
1000 სომხური დრამი - 6.3138.

ამინდი 1 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+35
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge